საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. | № 16 (560) | ოთხშაბათი, 27 იანვარი, 1993 წელი | ფასი 3 მანეთი

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

აფხაზეთში განლაგებული საქართველოს შეიარაღებულ ძალების მთავარი შტაბის პრესცენტრიდან გვაცნობეს, რომ 25 იანვარს დღის განმავლობაში აფხაზეთში ძირითადად სიმშვიდე იყო შენარჩუნებული, ხოლო 12 საათისათვის ქვემო ეშერაში საბრძოლო პოზიციაზე გამოვიდა მოწინააღმდეგის ტანკი და სცადა ჩვენი პოზიციებისათვის ცეცხლის დაშენა. ზუსტი საპასუხო საარტილერიო ცეცხლით მოწინააღმდეგის ტანკი და მისი ეკიპაჟი ადგილზევე იქნა განადგურებული.

20 საათისათვის მოწინააღმდეგემ დაიწყო მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია ქვემო ეშერის მიდამოებში, გამოიყვანა ხუთი ტანკი და რამდენიმე ქვეითთა საბრძოლო მანქანა. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მოწინააღმდეგეს გაუხსნეს საარტილერიო ცეცხლი და არ მისცეს კონცენტრაციის საშუალება.

იოსებ გოგეჩია.

• • •

დღეს სოჭიდან აფხაზეთის ქალაქ ტყვარჩელში გაფრინდა სამი მი-8 ვერტმფრენი, რომლებსაც მიაქვთ ჰუმანიტარული დახმარების ტვირთი, პროდუქტები და მედიკამენტები. გაიგზავნა რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სახელმწიფო კომიტეტის მაშველთა ჯგუფიც, აგრეთვე გაეროს, ქართველთა და აფხაზთა მხარეების წარმომადგენლები.

ხელშეკრულების თანახმად, ტყვარჩელიდან გამოყვანილი იქნებიან ავადმყოფები, მოხუცები, ქალები და ბავშვები. ამასთანავე მხარეებმა დათქვეს, რომ ერთნაირად გაითვალისწინებენ აფხაზი, ქართველი და სხვა ეროვნების პირთა ინტერესებს. ტყვარჩელიდან ევაკუირებულ მცხოვრებლებს, რომლებიც არ მოისურვებენ სოჭში გაფრენას, შეუძლიათ დარჩნენ სოხუმში ან გუდაუთაში.

• • •

თბილისი. 25 იანვარს მესამე მასივის მეცხრე კვარტალში მდებარე გვარდიელთა ერთ-ერთ ობიექტზე, გვარდიელ მ. ტ-ს შემთხვევით გაუვარდა ცეცხლსასროლი იარაღი. სავალალო ფაქტს შედეგად მოჰყვა მ. ტ-ს ბიძაშვილის კახა ტულუშის სიკვდილი.

◆

ამერიკული მარცვლეული — საქართველოს

ვაშინგტონი. (იტარ-საქინი) ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ორშაბათს განაცხადა, რომ 100 ათასი ტონა საფურაჟე მარცვლეული მისცა საქართველოს. მისი საერთო თანხაა დაახლოებით 29,5 მილიონი დოლარი. როგორც ქვეყნის აგრარული უწყების განცხადებაშია ნათქვამი, ეს დააკმაყოფილებს საკვებ მარცვლეულზე საქართველოს „უმწვავეს მოთხოვნილებებს“. განაწილდება ინდივიდუალურ ფერმერულ და კოლექტიურ ფერმერულ მეურნეობებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, ფერმერულ ასოციაციებსა და აგრობიზნესის მცირე საწარმოებს შორის. საქართველო მარცვლეულს მიიღებს შეერთებული შტატების მარცვლეულის სასაქონლო მწარმოებელთა კორპორაციის მეშვეობით.

ამ დღეებში

გვატყობინებენ
„საქართველოს
რესპუბლიკის“
და საქინფორმის
კორესპონდენტები

**ფაქტი
მოვლენა
კომენტარი**

განიხილავდნენ ბიუჯეტს

სურათებზე: საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სხდომის მორიგ სხდომაზე.

იოსებ დავითაშვილისა და [illegible] ფოტო ([illegible]).

26 იანვარს საქართველოს პარლამენტის განახლებული სხდომა პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ იუბილარების მილოცვით დაიწყო. ამ დღეს 60 წელი შეუსრულდა ცნობილ ქართველ კინორეჟისორსა და საზოგადო მოღვაწეს ელდარ შენგელაიას. წინა დღით კი სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის დაბადების დღე გახლდათ. პარლამენტარებმა გულითადად მიულოცეს მათ და წარმატებები უსურვეს საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

პარლამენტის სპიკერმა აღნიშნა, რომ პარლამენტს ერთობ დაძაბული მუშაობა მოუწევს, რათა განიხილოს მოზღვავებული პრობლემები და მიიღოს სათანადო კანონები. მან უპასუხა პარლამენტის წევრთა შეკითხვებს. კერძოდ, ლაპარაკი იყო მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის, ახალი პასპორტების შემოღების თაობაზე, იმაზე, რომ აზერბაიჯანში ტყვედ მყავთ აყვანილი სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები, რომელთა ბედი გაურკვეველია. ეს საკითხი უნდა შევიდეს საქართველო-აზერბაიჯანს შორის უკვე დაწყებულ მოლაპარაკებათა ერთ-ერთ პუნქტად. პარლამენტარებმა ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ სხდომის დაწყების წინ პარლამენტის შენობასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. ისინი მოტყუებული აღმოჩნდნენ ერთ-ერთი კომერციული ბანკის მიერ. აღინიშნა, რომ ეს ბანკი არ არის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის ნაწილი და მოქალაქეებს სამართლებრივი ორგანოებისათვის უნდა მიემართათ, მით უმეტეს, რომ ამ ბანკის მესვეურნი პასუხისგებაში არიან მიცემული.

სამანდატო, დეპუტატის ეთიკისა და პრივილეგიების კომისიის თავმჯდომარის თენგიზ ბუაჩიძის წარდგინებით პარლამენტმა უფლებამოსილება შეუწყვიტა დეპუტატ ანზორ კილაძეს, მისი ლანჩხუთის რაიონის [illegible]ოს რესპუბლიკის საარჩევნო კანონების მიხედვით ახალი არჩევნების გამართვის შესახებ. პარლამენტის წევრი გიორგი შაიშმელაშვილი აირჩიეს საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიის შემადგენლობაში.

შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა კახი პოპიაშვილმა ისაუბრა საქართველოს რესპუბლიკის 1993 წლის 1 კვარტალის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის შესახებ. თვით ის გარემოება, რომ მსჯელობა არა მთელი წლის, არამედ მხოლოდ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ბიუჯეტზე იყო, იმის მიმანიშნებელია, რომ ვითარება მეტად სერიოზული და დაძაბულია. სხვა მიზეზებთან ერთად, მომხსენებელმა დაასახელა ის, რომ საქართველომ ჯერ კიდევ ვერ ჩამოაყალიბა გარესამყაროსთან ურთიერთობა, არ არის საბოლოოდ დამუშავებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივი პერიოდის სტრატეგიული გეგმა, მძვინვარებს ინფლაცია, შეუძლებელი ხდება ფასების პროგნოზირება. მიმდინარეობს ომი და საომარ პირობებში, ბუნებრივია, ნებისმიერი ქვეყანა განიცდის ეკონომიკურ სიძნელეებს. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი პრაქტიკულად მიმართულია მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებებისაკენ. ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ ეს ღონისძიებები, ეკონომიკის ხარჯზე ფინანსირდება, და თუ დროულად არ გამოინახა სხვა გზები, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა ამას უკვე ვეღარ გაუძლებს.

ბიუჯეტის სრულყოფისათვის საჭიროა საგადასახადო პოლიტიკის ძირეული შეცვლა. კერძოდ, მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში პრაქტიკულად წარმოუდგენელია გადასახადებისაგან განთავისუფლების წამოჭრაც. საკითხის დასმის წესით, მომხსენებელმა შემო- [illegible]

სახელმწიფოს მეთაურმა — პარლამენტის თავმჯდომარემ ედუარდ შევარდნაძემ: საშუალება მქონდა, თქვა მან, შევხვედროდი ფინანსთა სამინისტროს და ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, ზოგიერთ მინისტრს და დეტალურად შემესწავლა ბიუჯეტის შინაარსი, მისი ხარისხი, გარკვეული შეხედულება შემექმნა მის შესახებ. მიმაჩნია, რომ ბიუჯეტის განხილვა დაიწყო ფორმალურად, ეს ნიშნავს იმას, რომ ჯერაც ვერ გავიგეთ, რა ვითარებაა ქვეყანაში და რა გველოდება... იმ შეხვედრაზე გამოითქვა აზრი, რომ ბიუჯეტის შესახებ უნდა ყოფილიყო მინისტრთა კაბინეტის, მთავრობის მოხსენება და არა ფინანსთა მინისტრისა. მაშინ გამოვთქვი მოსაზრება, რომ ძირითად მოხსენებასთან ერთად მოგვისმინა მთელი რიგი თანამოხსენებებისათვისაც. არასწორად მიმაჩნია, რომ ბიუჯეტის განხილვა დაიწყო, პრემიერ-მინისტრისა და ვიცე-პრემიერების, მინისტრების გარეშე საუბარია ეკონომიკურ კრიზისზე, ფინანსების გაჯანსაღებაზე, რეფორმებზე და ამ დროს, განხილვას არ ესწრებიან სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ჯანმრთელობის სისტემის, კულტურისა და სხვა დარგების ხელმძღვანელები. მათ უნდა იცოდნენ რა მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხვალ, სად მიგვიყვანს ეს გზა. ბიუჯეტის ახლანდელი განხილვა მაგონებს ძველ დროს, როცა ბიუჯეტს პრაქტიკულად, მოსკოვში ამტკიცებდნენ, შემდეგ მას რესპუბლიკაში სესიაზე გამოიტანდა ფინანსთა მინისტრი, გამოვიდოდნენ რაიონების წარმომადგენლები და... ფაქტობრივად, ეკონომიკური და ფინანსური პრობლემების გაუთვალისწინებლად, პარლამენტის წევრთა მიერ მათი გულდასმით შესწავლის გარეშე თითქმის შეუძლებელი გახდება საგარეო-ეკონომიკური საკითხების განხილვა.

პარლამენტის სხდომის დღიური

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ ერთი-ორი თვის შემდეგ პასუხი უნდა გავცეთ ხალხს, ამიტომ, უნდა ვეძებოთ ვითარების გაუმჯობესების ყველა გზა. სწორედ ამ გზების შესახებ არაფერია ნათქვამი მოხსენებაში. მიმაჩნია, განაგრძო პარლამენტის თავმჯდომარემ, რომ ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობა უნდა მიიღონ მინისტრებმა, ქალაქ თბილისის მერიამ, ქალაქების - ქუთაისის, ფოთის, აჭარის, აფხაზეთის ხელმძღვანელობამ.

სხდომაზე პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ აღნიშნა, რომ ძნელია ბიუჯეტზე ლაპარაკი და მისი დამტკიცება მაშინ, როდესაც თითქმის ყოველდღე იცვლება ფასები სასიცოცხლოდ აუცილებელ პროდუქციაზე. მხოლოდ [illegible] დღეებში გახდა ცნობილი, რომ თურქმენეთმა გააძვირა ბუნებრივი გაზის ფასები, შესაძლოა [illegible] განმეორდეს უახლოეს პერიოდშიც. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ საქართველო განუხრელად მი[illegible] მსოფლიო ბაზრის ფასებისკენ, რაც თავისთავად ახალ [illegible]

ნომერში

⊙ გონს მოსვლა გადაუდებელი საქმეა. 3-4

⊙ ნარკომანმა ცოლი დააგირავა. 4

დამტკიცდა დებულება ფოთის მმართველობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით დამტკიცდა დროებითი დებულება „ქალაქ ფოთის მმართველობის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

ქ. ფოთის მერის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს რომან მელია ქ. ფოთის მერად.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1993 წლის 26 იანვარი.

რომან დავითის ძე მელია დაიბადა 1944 წელს ქ. ფოთში. [illegible] საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი [illegible] ქ. ფოთის [illegible] 1977-1992 წლებში მუშაობდა ქ. ფოთის [illegible] 1989 წლიდან [illegible] 1992 წელს [illegible]

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიის შემადგენლობის ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი გიორგი შაიშმელაშვილი საქართველოს პარლამენტის კულტურის კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 26 იანვარი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ანზორ კილაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

1. შეუწყდეს ანზორ კილაძეს პარლამენტის წევრის უფლებამოსილება ლანჩხუთის რაიონის [illegible] დაკავშირებით.
2. წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას [illegible] ლანჩხუთის რაიონის [illegible] არჩევნები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვ. გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 26 იანვარი.

პრემიერა იუბილეს დღეს

თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში [illegible]

ჩვენს აზროვნებას როგორც ჯადო, ისე აწევს ბოროტი აფორიზმი: „ისევ ისე მეორდება ყველაფერი“

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის სპიკერი ბატონი ვახტანგ გოგუაძე

[illegible]

(დასასრული 3-ე გვ.)

[illegible]

თავდაცვის ფონდს შეეწირნენ

⊙ [illegible] 22 000 მანეთი, [illegible] 5000 მანეთი, [illegible] 3000 მანეთი.

⊙ საქართველოს [illegible] 800 ათასი მანეთი.

⊙ საქართველოს რესპუბლიკის [illegible] 250 ათასი მანეთი. [illegible]

⊙ საქართველოს [illegible] 1992 წლის [illegible] 20 ათასი მანეთი, [illegible] 3 ათასი მანეთი, [illegible]

⊙ საქართველოს რესპუბლიკის [illegible] 35 ათასი მანეთი, [illegible]

⊙ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის [illegible] 45 ათასი მანეთი.

ჩვენს აზროვნებას როგორც ჯადო, ისე ადევს ბოროტი აფორიზმი: „ისევ ისე მეორდება ყველაფერი“

(დასასრული)

შრომითი სახსრები, ჩვენში დაცინვის საგანია. პირველ რიგში, ჩვენს თავს ჩვენ უნდა ვუშველოთ. გადარჩება ის, ვინც გადარჩენის ღირსია! მტაცებელთა სტომაქს მილიარდებიც არ დააჩნდება!

ამასთან, ისიც მინდა ვთქვა, რომ შევარდნაძის ავტორიტეტს, რომელიც მართლა კაპიტალის სახით შეიძლება გამოვიყენოთ, ჩვენ ჯეროვნად ვერ ვითვისებთ. მას ფანტასტიკური ავტორიტეტი აქვს გერმანიაში, მსოფლიოში, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ დავსხდეთ და წყალობას ველოდოთ. მან მოსკოვიდან ჩამოსვლისას აეროპორტში ფეხის დადგმისთანავე გვითხრა, რომ ხელი უნდა დავიკაპიწოთ და ერთად ვუშველოთ ქვეყანას. მოდით, დავანებოთ თავი სხვის კრიტიკას და გადავიდეთ საკუთარი თავის კრიტიკაზე, თუ ხმამაღლა არა, ფიქრით მაინც.

— ბატონო ვახტანგ, ჩამოვიდეთ მიწაზე; შეიძლება ერთი პროზაული შეკითხვა მოგცეთ?

— თუ კითხვა კლასიკური, ან პოეტური პროზის ენაზე იქნება, კი ბატონო.

— არა, არა, შეკითხვა ყოფით პროზას ეხება.

— კეთილი.

— რა დაუჯდა საქართველოს თქვენი მოგზაურობა ევროპაში?

— არც ერთი კაპიკი. მე მიწვეული ვიყავი „ევროპის ეკონომიკური გაერთიანების“ კონფერენციაზე ზაარბრიუკენში. ხოლო ის პატარ-პატარა შეხვედრები დიდ სახელმწიფო მოღვაწეებთან თან მოჰყვა ამ საქმეს. აი, როცა ოფიციალური ვიზიტით მოგვიხდება წასვლა ზოგიერთ ქვეყანაში, მაშინ უნდა შევაწუხოთ სამამულო ქისა. მე მიკვირს, თქვენ რატომ დამისვით ეს საჭირო კითხვა, — მართალია, ყოველი ფეხის ნაბიჯზე უნდა ვეკითხებოდეთ საკუთარ თავს, ქვეყანას სარგებელი მოვუტანეთ თუ ზარალი.

— მაშინ ამ მეორე თემაზე გავაგრძელოთ საუბარი. რას ნიშნავს „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“. ალბათ, საკითხი ბიზნესს ეხება...

— ადრე რომ გავიგებდი, ის კაცი ბიზნესმენიაო, მეგონა ჯიბე უსკდებოდა ფულით. მე ბიზნესმენი არ გახლავართ და არც არის ჩემი გამდიდრების საშიშროება. ამ გაერთიანებას აქვს პატიოსანი ბიზნესის განვითარების პროგრამა, რომელიც რამდენიმე ქვეყანას მოიცავს არა მარტო ევროპაში. მასში მონაწილეობენ რუსეთი, ირანი და სხვა ქვეყნებიც. ქართველები ამ პროგრამის ერთ-ერთი ინიციატორი და თანამონაწილენი არიან. ეს პროგრამა აერთიანებს უდიდეს ფირმებს და აქვს მრავალმხრივი საქველმოქმედო მიზანი, კერძოდ, მკურნალობს ავადმყოფ ბავშვებს და სხვა.

დასავლეთში ბიზნესს თავისი ნამუსის ქუდი ხურავს. სპეკულანტობა იქ დიდხანს ვერ იბოგინებს. იქ პირგაუტეხლობა, ურთიერთნდობა, პატიოსნება, საქმის ერთგულება, მუყაითობა ნამდვილი ბიზნესის შექმნის აუცილებელი პირობაა. ჩვენი მხრივ, ვალდებულნი ვართ, ხელი შევუწყოთ მის წესიერ განვითარებას.

— რა უშველის, თქვენის აზრით, დღევანდელ საქართველოს?

— საღი პოლიტიკური აზრი, რომელიც ერთმანეთისაგან გაარჩევს სასურველსა და შესაძლებელს.

— რა არის საჭირო იმისათვის, რომ ჩვენი პოლიტიკური აზრი საღი იყოს?

— არავისთვის არ უნდა იყოს საწყენი ის, რომ ჩვენი პოლიტიკური აზრი ჯერ კიდევ არ არის საღი. ამაში მე საკუთარ აზრსაც ვგულისხმობ, ამის მიზეზი ისიც არის, რომ ბოლომდე არ ვენდობით ერთმანეთს. მოდით, ვთქვათ სრული სიმართლე: რანი ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ. ამასწინანდელმა საპარლამენტო ბჭობამ (არატრანსლირებულმა) დიდი იმედი მოგვცა — აღარ იყო ერთმანეთის ყელში წვდომა განსხვავებული აზრისათვის. ყველაზე განსხვავებული, ყველაზე რადიკალური აზრიც ისევე იმსახურებს პატივისცემას, როგორც ამ რადიკალური აზრის რადიკალურად საწინააღმდეგო შეხედულება, თუ ეს ვერ შევძელით, ჩვენ ჭკუასაკითხავი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრები ვერ ვიქნებით.

ჩვენს აზროვნებას ბორკილები ჯერ მთლიანად არ მოუხსნია, ყოველ შემთხვევაში, ბორკილების ანაბეჭდი ჯერ ისევ გვეტყობა. ყოველივე კომუნისტურის წინააღმდეგ კომუნისტებივით მუშტის ქნევა, განსხვავებული აზრისადმი ამკრძალავი და ხმამაღალი მუქარა, — აი, ეს არის კომუნისტური ფსიქოლოგია, სხვა კი არაფერი. განმასხვავებელი მხოლოდ ფასადია. მაგრამ, მადლობა ღმერთს, პარლამენტი გამოდის ამ მდგომარეობიდან.

— ჩემი აზრით, არის კიდევ სხვა ფსიქოლოგიური მომენტებიც, რომლებიც აზრის გაჯანსაღების გზაზე გვეღობება...

— გეთანხმებით, ჩვენს აზროვნებას, როგორც ჯადო, ისე ადევს ბოროტი აფორიზმი: „ისევ ისე მეორდება ყველაფერი“. ეს აზრი იმდენად არის ჩვენში გამჯდარი, რომ შიშით ვერ გაგვიბედავს რუსეთთან ახლებურ ურთიერთობაზე ლაპარაკი, რომ ძველებურს არ მიამსგავსონ. ვეჭვიანობთ, ვაითუ, იფიქრონ, რომ რუსეთის იმპერიაში საქართველოს დაბრუნების შემპარავ პოლიტიკას ვემსახურებით და ა. შ.

— მართლაც, ხომ არ არის იმის საფუძველი, რომ რუსეთმა კვლავ შეგვინარჩუნოს, როგორია თქვენი აზრი?

— მე პირადად რუსეთთან ურთიერთობის მოწესრიგებისა არ მეშინია. აი, მოუწესრიგებლობა კი ნამდვილად ნიშნავს ჩვენს კატასტროფას. ზოგჯერ ჩვენ ერთსა და იმავე დროს ვამტკიცებთ, რომ ყველაფერი, რაც ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში ხდება, რუსეთის ბრალია, რომ ჩვენ აქ რუსეთი გვეომება. თუ ეს მართლაც ასეა, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ? ან უნდა ავდგეთ და დავამარცხოთ რუსეთი (ცხადია, ეს სასაცილოა), ანდა, ვეცადოთ, თავი არ დავამარცხებინოთ. ახლა ისიც ვნახოთ, გვაძლევს თუ არა ხელს რუსეთის დამარცხება საერთოდ? ღმერთმა დაგვიფაროს რუსეთის დანგრევა, ეს ჩვენთვის იმაზე უარესი იქნება, ვიდრე 1453 წელს ბიზანტიის დაცემა. თუ რა დაგვიჯდა მისი შედეგი, კარგად უწყის ყოველმა განათლებულმა ქართველმა. მას შემდეგ ჩაიკეტა გზა დასავლეთისაკენ. ახლა ვნახოთ, შეგვიძლია თუ არა დავამარცხოთ რუსეთი. მე მგონი, გაგვიჭირდება...

— შეიძლება თუ არა რუსეთთან ისეთი მოლაპარაკება, რომელიც გარკვეული გარანტია იქნება თანასწორუფლებიანი სახელმწიფოებრივი ურთიერთობებისათვის?

— რა გარანტიას ვხედავთ? პირველი ის, რომ მსოფლიო დღეს სხვაა, ვიდრე ადრე. კაცობრიობის ისტორიაში პირველად ხდება, რომ მთელ მსოფლიოში ყალიბდება თითქმის ერთიანი ეკონომიკური, სასიცოცხლო ურთიერთობები. რისთვისაც ადრე ომობდნენ, დღეს იმით ვაჭრობენ. რუსეთისათვის ზურგის შექცევა უაზრობაა, საჭიროა გონიერი პოლიტიკური ურთიერთობა, ეს ჩვენც გვჭირდება, რუსეთსაც და კაცობრიობასაც. სახელმწიფო ბედნიერია, თუ მას კმაყოფილი მეზობელი ქვეყანა ჰყავს. რუსეთთან ურთიერთობის მოუგვარებლად საქართველო სისხლისგან დაიცლება და მსოფლიოც ჩვენ გაგვამტყუნებს, რადგან, რუსეთის ძალას დიდ ანგარიშს უწევს და ვერც ეშმაკობას ვასწავლით ვერავის. ახლა მთავარია ქვეტექსტებითა და იჭვებით ლაპარაკს თავი დავანებოთ. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ დიდი პოლიტიკური ავტორიტეტის პერსპექტივებით. პატარა ქვეყანას დიდი ჭკუა სჭირდება. ჩვენ წუნია და მეოცნებე პოლიტიკიდან გადავდივართ რეალისტურ და კონსტრუქციულ პოლიტიკაზე, იმოციებს ცვლის აზრი, რაც ჩვენი ნაბიჯისა თუ სიტყვის შემხვედრ შედეგებს ითვალისწინებს. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ქვეყნის წინაშე, თუ რა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას და, რომელი გზა შეგვიყვანს ცივილიზებულ სამყაროში.

— გმადლობთ ინტერვიუსათვის.

ესაუბრა
ნაზი ღლონტი.

თამაზ ნადარეიშვილი:

ჩვენ ვეწევით სამართლიან ომს და გავიმარჯვებთ

აფხაზეთის რადიოთი თავის გამოსვლაში ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ თამაზ ნადარეიშვილმა, დაახასიათა რა საომარი სიტუაცია აფხაზეთში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბრძოლო მოქმედება მოწინააღმდეგის სასარგებლოდ არ ვითარდება. მართლდება პროგნოზი, რომ არძინბასა და მის ხროვას, რომლებმაც სასტიკი ომი გააჩაღეს, თავიანთი ხალხი მიჰყავთ თვითმოსპობამდე. ავიღოთ, თუნდაც ასეთი ფაქტი. უკანასკნელ საბრძოლო მოქმედების დროს აფხაზეთის მხრიდან დაიღუპა 300-მდე კაცი. ეს გამოუსწორებელი ტრაგედიაა მცირერიცხოვანი აფხაზი ხალხისათვის. ძირითადად ხომ იღუპებიან 18-30 წლის ადამიანები. ეს კი გარდაუვალად მოახდენს გავლენას მის გენოფონდზე.

თუმცა, პირადად მე მხარს ვუჭერ ომის დაბოლოებას მხოლოდ სამხედრო გზით. აფხაზთა მხარეს კიდევ აქვს გამოსავალი. ეს არის მოლაპარაკება, მაგრამ მანამდე აფხაზთა მხარემ აუცილებლად უნდა შეასრულოს სავალდებულო პირობა — დააბრუნოს გაგრა, აღადგინოს რუსეთთან საქართველოს საზღვარი მდინარე ფსოუზე, მოაშოროს იქიდან ყველასათვის გაუგებარი მუსულმანური ნიშანი.

შეეხო რა დღეისათვის აფხაზეთში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას, ბატონმა თ. ნადარეიშვილმა თქვა, რომ იგი, თუმცა, კვლავ რთულია, მაგრამ დაისახა დადებითი ძვრებიც. გუდაუთაში უკვე არიან ძალები, რომლებიც რეალურად აფასებენ რთულ ვითარებას და დარწმუნდნენ, რომ არძინბას თავისი ხალხი კატასტროფისაკენ მიჰყავს. მართალია, მის გარემოცვაში ჯერ არ გამოჩენილა პიროვნება, რომელიც იკისრებდა პასუხისმგებლობას დაუპირისპირებინა აფხაზი ნაციონალ-სეპარატისტებისადმი თავისი ავტორიტეტი და ნება აფხაზი ხალხის ტრაგედიისაგან გადასარჩენად, მაგრამ, ეტყობა, საქმე აქეთკენ მიდის. იქ უკვე მოხდა განხეთქილება არძინბას უახლოესი გარემოცვის ექსტრემისტულად განწყობილ ნაწილსა და საღად მოაზროვნე აფხაზ ძალებს შორის. საქმე მივიდა იარაღის გამოყენებამდე. ჩვენ გვაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ არძინბას ესროლეს.

თენგიზ ჯიბუტი.

სამართალმა პური უნდა ჭამოს!

ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის განცხადება

კომიტეტს არაერთხელ განუცხადებია, რომ თვით საომარ პირობებშიც კი ადამიანი უნდა დარჩეს ადამიანად. ყოველი დარღვევა, შელახვა ადამიანური უფლებებისა, მოქალაქეთა თუ ხელისუფლების მიერ შედეგად საზოგადოების ზნეობრივ, სოციალურ და სამართლებრივ რღვევას იწვევს. საზოგადოების სიმრთელე და სტაბილურობა ეფუძნება ადამიანის უფლებათა შეუვალობის აღიარებასა და პატივისცემას, სტაბილურობა კი უპირველესი პირობაა იმ წინააღმდეგობათა დაძლევისა, რომლებიც ეღობება ქვეყანას დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზაზე. ჩვენი დღევანდელი კრიზისი მნიშვნელოვანწილად სამართლებრივი უმეცრებისა თუ გულგრილობის შედეგია. ადამიანის ქცევა-მოქმედებას არსებული ყოფიერება, თუნდაც თავსმოხვეული ვითარება კი არ უნდა განაპირობებდეს, არამედ შეგნება და კეთილი ნება, რომელიც უნდა ქმნიდეს და განსაზღვრავდეს საზოგადოებრივ ყოფას და ურთიერთობებს. ადამიანის სამართლებრივ შეგნებასა და სინდისზეა დამოკიდებული ქვეყნის მომავალი, რომლის საფუძველთა ჩაყრა დღესვე, ამ ომიანობისა და ძნელბედობის ხანაშივე უნდა იწყებოდეს. სხვა ჟამი ამისათვის ჩვენ არ მოგვეცემა.

ამ უკანასკნელ ხანს კომიტეტი აწყდება ადამიანის ელემენტარულ უფლებათა დარღვევის შეუწყნარებელ ფაქტებს. ჩვენ აღარ ვლაპარაკობთ ტრადიციულ ბანდიტიზმზე — მოქალაქეთა ბინების დაყაჩაღების ან სახელმწიფო საწარმოთა და რკინიგზის ვაგონების ძარცვა-გლეჯის გახშირებულ შემთხვევებზე.

მხედველობაში გვაქვს ისეთი ფაქტები, რომელთა აღკვეთა არც თუ შორეულ წარსულში დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა სამართალდამცავი ორგანოებისათვის. მოქალაქე იჭრება უმწეო და დაუცველი მოქალაქის ბინაში და ამოხოცვის მუქარით აიძულებს საცხოვრებლის დატოვებას. მუქარა მეორდება პერიოდულად და, ბოლოს, ილაჯგაწყვეტილი მობინადრე იძულებულია გადაიხვეწოს, მისი ვარაუდით, იმ დრომდე, ვიდრე სამართალდამცავი ორგანოები არ აღადგენენ მის კანონიერ უფლებებს. მოძალადე კი ეუფლება მიტოვებულ ბინას თუ სახლ-კარს. დღევანდელი სამართლებრივი ვითარების პარადოქსია ის, რომ მიტაცებული ბინა, თითქოს გაურკვეველი იყოს მისი კუთვნილება, სასამართლოში დავის საგანი ხდება. სასამართლოში კანონიერი პატრონის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტის შემთხვევაშიც ალმასრულებელი ხელისუფლება უძლურია აღადგინოს კანონიერება. ამის მიზეზი ის არის, რომ ან უკანონოდ შესახლებული მოქალაქე იარაღით იცავს „უფლებას“, ან მას მხარს უჭერენ თავად ხელისუფლების წარმომადგენლები, ან ესარჩლებიან გავლენიანი, შეიარაღებული ფორმირებების მესვეურნი, ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლები იმ მოტივით, რომ უკანონოდ შესახლებულ პირს დიდი დამსახურება აქვს ერის წინაშე, რომ ის თავდადებული მამულიშვილია, რომ მისი ოჯახი დევნილია ცხინვალის ზონიდან, ან მისი ოჯახის შვილი იბრძვის აფხაზეთში და ა. შ. ეს უკანასკნელი მოტივები უაღრესად საპატიო იქნებოდა, ძალადობისა და უკანონობის გასამართლებლად რომ არ იყოს დამოწმებული. ამგვარი მიზნით მათი მოხმობა კიდევ უფრო ამძიმებს დანაშაულს, რადგან ეს დაუფარავი ცინიზმი, წმიდათა წმიდა მოვალეობათა გაუგონარი პროფანაციაა, რომელსაც არ შეიძლება შეეგუოს პატიოსანი მოქალაქე, საზოგადოება, სახელმწიფო ორგანოები, რომელთაც სამართლისა და კანონის დაცვა აკისრიათ. საყოველთაო შეურიგებლობამ ამგვარი ფაქტებისადმი უნდა გამოირიცხოს მათი განმეორებისა და გავრცელების შესაძლებლობა.

ყველაზე უფრო შემაშფოთებელი კი ის არის, რომ დაზარალებულთა — თავიანთ საცხოვრებელ ადგილებზე უფლებააყრილთა შორის არიან არაქართველი მოქალაქენი, რაც შეიძლება აღქმულ იქნას ეროვნული უმცირესობის ჩაგვრისა და მათ წარმომადგენელთადმი შურისძიების გამოვლინებად.

კომიტეტში შემოსული მასალები ცხადყოფს, რომ არის იმის საშიშროება, რომ ამგვარმა ფაქტებმა ეპიდემიის ხასიათი მიიღოს (ფაქტები დადასტურებულია თბილისში, ბორჯომში, განსაკუთრებით გორში და მისი რაიონის სოფლებში). მათ გავრცელებას ნოყიერ ნიადაგს უქმნის სამართალდამცავი ორგანოების უძლურება, უმოქმედობა, თვალის მოხუჭვა, ან გულგრილობა, ზოგ შემთხვევაში აშკარა მხარდაჭერა მოძალადეთათვის ზემოთ ნახსენები მოტივებით. სამართალდამცავი ორგანოები, ადგილობრივი ხელისუფლება ხშირად იმოწმებენ წინა ხელისუფლების პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ზეპირი მითითებით თუ განცხადებებით უბიძგებდნენ ამგვარი უკანონობისაკენ. წინა რეჟიმის თვითნებობისა და განუკითხაობის შედეგები უნდა აღიკვეთოს. და ვისი აღსასრულებელია ეს, თუ არა ისევ და ისევ დღევანდელი ხელისუფლების ორგანოებისა? წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა მათ დაეკისრებათ.

ასეთი აქციები პოლიტიკურად აზარალებს, სახელს უტეხს ჩვენს ახლად გათავისუფლებულ ქვეყანას, რადგან მის მიწაზე ფეხქვეშ ითელება „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა“ და გაეროს მიერ გამოცხადებული საერთაშორისო პაქტების ძირეული მოთხოვნები და ნორმები. შემაშფოთებელი უფრო ის არის, რომ ამგვარი მოვლენების გახშირება და წესად ქცევა საფრთხეს უქმნის უძველესი ტრადიციებისა და სხვა ეროვნებებთან მშვიდობიანი თანაარსებობის გამოცდილების მქონე ერს მისი ისტორიული მონაპოვარითურთ, დაშლითა და რღვევით ემუქრება ჩვენს ყოფით კულტურას, გენოტიპს, სულიერ წყობას.

კომიტეტი მოუწოდებს ადგილობრივ ხელისუფლებს, სამართალდამცავ ორგანოებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურას, სასამართლოს საგანგებო მსჯელობის საგნად გახადონ აღნიშნული ფაქტები და გამოიმუშაონ ქმედითი ღონისძიებები სამართლიანობისა და კანონიერების აღსადგენად.

მიმართვა

დავაფუძნოთ საქართველოს ხალხის კონგრესი

ამ ორიოდე თვის წინ ერთაშორისმა მოძრაობამ — „საქართველოს მოქალაქე“ ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა მიმართვა, რომელიც საქართველოს ხალხის კონგრესის მოწვევისკენ მოუწოდებდა ყველას, ვინც საკუთარ თავს ერთიანი სახელმწიფოს სრულუფლებიან მოქალაქედ აღიქვამს.

ამ ხნის განმავლობაში მოძრაობის ორგკომიტეტის ყოველკვირეულ შეხვედრებზე, ეროვნული საზოგადოებების, ცალკეული მოქალაქეებისა და საზოგადოებრივი, პროფესიული, რეგიონული, სამართალდამცავი და სხვა გაერთიანებების, ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, ყალიბდებოდა მომავალი კონგრესის პროგრამისა და წესდების პროექტები.

ჩვენ, საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლები

—1. ვიზიარებთ საქართველოს ხალხის კონგრესის დაფუძნების იდეას. ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ახალი სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების პირობებში, მოქალაქეობრივი თვითშეგნების ჩამოყალიბების მეშვეობით, კონგრესი ხელს შეუწყობს „საქართველოს მოქალაქის“ ცნების ხორცშესხმას.

2. ვიზიარებთ აზრს, რომ ჭეშმარიტად სახალხო და საზოგადოებრივი კონგრესი ხელს შეუწყობს ისტორიულად ჩამოყალიბებული ცნების „საქართველოს ხალხის“ განმტკიცებას, რომელიც ასახავს საქართველოში მცხოვრებ ყველა ერის ადამიანის ერთობას, ისტორიული სახელმწიფოებრიობის აღმშენებლობის პროცესში რომ ჩამოყალიბდა ერთიანი საქართველოს მთელ სივრცეზე.

3. მიგვაჩნია, რომ ქვეყნის დღევანდელი უაღრესად მწვავე და კრიზისული მდგომარეობა მოითხოვს საქართველოს ხალხის კონგრესის იდეის დაუყოვნებლივ ხორცშესხმას. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფოებრივი ფორმირების პროცესი სახალხო ინიციატივის დონეზე შენელდება, რაც დაუშვებელია.

საქართველოს ხალხის კონგრესის მოწვევამდე აუცილებელია:

— მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, — პრესამ, ტელევიზიამ და რადიომ, ყოველმხრივ ხელი შეუწყონ იმას, რომ მოსახლეობა გაეცნოს კონგრესის ამოცანებსა და მიზნებს. იმ საპარლამენტო და სამთავრობო სტრუქტურებმა, რომელთა საქმიანობა ეხმიანება კონგრესის მიზნებს, გაითვალისწინონ, რომ მომავალი კონგრესი, როგორც საზოგადოებრივი ინიციატივის ნაყოფი, მათი საქმიანობის შესამსუბუქებლად არის გამიზნული. ამიტომ, ბუნებრივი იქნება, ამ სტრუქტურებმა დახმარება გაუწიონ კონგრესის ორგანიზატორებს.

იმედი გვაქვს, რომ ეს მიმართვა სათანადო გამოძახილს ჰპოვებს.

ვალერი ასათიანი, ქერიმ ანყორსი, ჯემალ აჯიაშვილი, გია ბარამიძე, აკაკი ბაქრაძე, რუსუდან ბერიძე, იგორ ბოგომოლოვი, თენგიზ ბუაჩიძე, ნაირა გელაშვილი, თენგიზ გელოვანი, ლევან თოიძე, ავთანდილ იმნაძე, თეიმურაზ ივანოვი, გენო კალანდია, ზაურ კალანდია, კოგა კიკაბიძე, ოლეგ კევლიშვილი, რომუალდ კოზლოვსკი, მერაბ კოკოჩაშვილი, გიზო კორძაძე, ლენინა კუჭმიჩევა, გიგა ლორთქიფანიძე, ადა მარშანია, ირაკლი მაჭავარიანი, მერაბ მარკოზია, იური მეჩითოვი, თეიმურაზ მირიანაშვილი, თენგიზ მირზაშვილი, ოლეგ მიხაილოვი, გიორგი მიქაელიანი, ზურაბ მურვანიძე, გარი მნაცაკანიანი, იური ნაზიევი, ნოდარ ნათაძე, გია ნოდია, თედო პაატაშვილი, ოთარ პოლოსოვი, ზურაბ ჟვანია, მალხაზ ჟვანია, გია ჟორჟოლიანი, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, ალექსანდრე რონდელი, ვახტანგ რჩეულიშვილი, ვიქტორ რცხილაძე, იზაბელა რინენბერგი, ირინე სარიშვილი, აპოლონ სილაგაძე, სულეიმან სულეიმენოვი, ლუბა ფელგრონი, ვლადიმერ ფიჩხაძე, შალვა ფიჩხაძე, გერმანე ფაცაცია, თემურ ფიფია, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიგა შახნაზარიანი, ელდარ შენგელაია, ლევან შენგელაია, მერაბ შამოევი, კახა ჩიტაია, მარიამ ჩიგოევა, გელა ჩორგოლაშვილი, თამარ ჩხეიძე, ზურაბ ცინცაძე, ნატო ციციშვილი, აკაკი ძიძიგური, თამაზ წილოსანი, გაადურ წულაძე, ივლიანე ხაინდრავა, მერაბ ჯიბლაძე.

საორგანიზაციო კომიტეტი. ტელ.: 93-24-77.

გვჭირდება დაწყნარებული წლები

მოსკოვში მოლაპარაკება გრძელდება

მოსკოვში გრძელდება მოლაპარაკება რუსეთ-საქართველოს მომავალ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა თაობაზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით საქინფორმის კორესპონდენტი ნინო თათრულაძე შეხვდა საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური რესურსების მინისტრ მურთაზ ხანალიანს.

— ბატონო მურთაზ, როგორც ცნობილია, თქვენი და რიგი სხვა სამინისტროთა და უწყებათა წარმომადგენლები იმყოფებიან მოსკოვში რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა პროექტის მოსამზადებლად, გთხოვთ, გვიამბოთ, რა ვითარებაა ამჟამად და რა ეტაპზეა მოლაპარაკება?

— როგორც საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, უკვე კვირაზე მეტია მინისტრის სამი მოადგილე, ეროვნული ბანკისა და ეკონომიკის სამინისტროს 15 სპეციალისტთან ერთად აგრძელებენ მუშაობას რუსეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ხელშეკრულების პროექტის მოსამზადებლად. ეს პროექტი უნდა იყოს ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იმ დიდი ხელშეკრულებისა, რომელიც ახლა მზადდება.

მიმაჩნია, რომ ამ თვის ბოლომდე საქართველომ უნდა გაარკვიოს თავისი ურთიერთობა ისეთ დიდ ჩრდილოელ მეზობელთან, როგორიც რუსეთია. ეკონომისტი გახლავართ და პოლიტიკისაგან ვცდილობ შორს დავიჭირო თავი, მაგრამ პოლიტიკური საკითხების მოწესრიგების გარეშე რომ ჯანსაღი ეკონომიკური ურთიერთობები ვერ დამყარდება, ამას მოსკოვში „როსკონტრაქტთან“ (ყოფილი მომარაგების კომიტეტი), რუსეთის ბანკთან და ეკონომიკის სამინისტროსთან ძნელად მიმდინარე მოლაპარაკების პერიპეტიებიც ადასტურებს. იმ ინფორმაციებით, რომლებსაც ვღებულობ ჩემი მოადგილეებისაგან, ჯერჯერობით ცნობილია, რომ 1993 წლის პირველ კვარტალში ჩვენგან შეთავაზებული 72 მილიარდი მანეთის საქონლიდან მათ მხოლოდ 11,5 მილიარდი მანეთის საქონელზე განაცხადეს თანხმობა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ეგრეთ წოდებული ტექნიკური კრედიტიც ამის საფუძველზე გაიხსნება და საბანკო ოპერაციებიც ამ თანხის ფარგლებში იწარმოებს. ეს კი მეტად მძიმე ვითარებას შეუქმნის ჩვენს ეკონომიკას. აღნიშნული თანხა მარცვლეულსა და ენერგორესურსების ნაწილს თუ ეყოფა, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებს კი უდავოდ გაუჭირდებათ. მართალია, ეკონომიკური კავშირები დამყარებული გვაქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებთან (ყაზახეთი, თურქმენეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და ა. შ.), მაგრამ ამ ურთიერთობაში აშკარად იგრძნობა, რომ მათი მზერაც რუსეთისკენაა მიმართული. პირველ ყოვლისა, მათ აინტერესებთ როგორი იქნება მანეთთან ჩვენი ურთიერთობა.

ჩემი აზრით, დადგა დრო, პარლამენტმაც, მინისტრთა კაბინეტმაც და საქმის სპეციალისტებმაც გამოხატონ თავისი დამოკიდებულება სამანეთო ზონის მიმართ. ჩვენთვის ნათელია, რომ რუსეთის ეკონომიკაში გათვითცნობიერებულმა პირებმა იციან — ადრე თუ გვიან ყველა ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკა გამოვა სამანეთო ზონიდან, ამჟამად მათი მთავარი ყურადღება მიპყრობილია იქითკენ, რომ გაარკვიონ დაახლოებით რამდენ ხანს დარჩება ესა თუ ის რესპუბლიკა ამ ზონაში. ამასთან, ისინი არ აყენებენ დიდ კაბალურ პირობებს — მოითხოვენ 3 თვით ადრე შეატყობინონ სამანეთო ზონიდან გასვლის შესახებ, რუსეთში გამოშვებული ყოფილი საბჭოთა ფულის კუპიურები კი, რომლებსაც ეროვნული ფული შეცვლის, დაუბრუნონ რუსეთის ფედერაციას, რათა ამ ფულის ნიშნებით არ მოხდეს მათი ეკონომიკის ხელყოფა. ჩემის აზრით, ეს ნორმალური ეკონომიკური მოთხოვნაა.

მოლაპარაკების კულისებში ისიც ითქვა, რომ რუსეთის და საქართველოს პოლიტიკოსებმა თვითონ „მოუარონ“ ერთმანეთს, ჩვენ, ეკონომისტები და მატერიალურ სფეროში დასაქმებული სხვა ადამიანები კი ყოველთვის გამოვნახავთ საერთო ენას ჩვენი ქვეყნებისათვის სასარგებლო ეკონომიკური ურთიერთობისათვის.

საერთოდ, ალბათ, უნდა ითქვას, რომ გადაჭარბებული რადიკალიზმი ეკონომიკაში შეიძლება დამღუპველი აღმოჩნდეს. 70-წლიანმა ისტორიამ თავისი შავი საქმე უკვე გააკეთა. საბჭოთა იმპერიის შემადგენელი „მოძმე“ რესპუბლიკები ეკონომიკაში ისე იქნენ ინტეგრირებული, რომ დღეს ასე უცებ მათი დაშორება შეუძლებელი ხდება. ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ტექნოლოგიური აღჭურვილობა, მასალა-ნედლეული, გასაღების ბაზარი ისეა ერთმანეთზე გადაჯაჭვული, რომ მათი გამოხსნა ერთ-ორ წელიწადში არ მოხერხდება.

გამოსავალი უეჭველად არსებობს, თქვა საუბრის დასასრულს მინისტრმა. საქართველოს ეკონომიკური პოტენციალი, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა ნამდვილად იძლევა იმის საშუალებას, რომ ქვეყანა ეკონომიკურადაც დამოუკიდებელი გახდეს. ამისათვის კი მინიმუმ 3-4 წელიწადი მაინცაა საჭირო, დაწყნარებული 3-4 წელიწადი, და არა ისეთი, როგორიც 1991-1992 წლები გვქონდა.

უარყოფენ ბრალდებებს

შეხვედრა დეპორტირებულ მესხთა წარმომადგენლებთან

22 იანვარს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის და ეროვნულ უმცირესობებთან ურთიერთობის კომისიის წევრთა შეხვედრა საქართველოდან დეპორტირებულ მესხთა ორგანიზაცია „ხსნის“ წარმომადგენლებთან.

როგორც ცნობილია, „ხსნის“ ორგანიზაცია აერთიანებს იმ დეპორტირებულ მესხებს, რომლებიც თავს ქართველებად თვლიან. „ხსნის“ ორგანიზაციამ კომისიას წარუდგინა განცხადება, რომელშიც იგი უარყოფს საზოგადოება „ვატანის“ ბრალდებებს საქართველოს ხელისუფლებისადმი და მიაჩნია, რომ „ვატანის“ ანტიქართული საქმიანობა ეწინააღმდეგება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს.

შეხვედრის დროს განიხილეს ამ ორგანიზაციასთან ურთიერთობის კონკრეტული საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

„სამხედრო პროკურატურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მიღებასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

I. საქართველოს რესპუბლიკის 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ. № I, მუხ. II) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 25-ე მუხლის მეხუთე პუნქტში სიტყვების „გენერალური პროკურორის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორის“, ხოლო სიტყვა „სამხედრო“ შეიცვალოს სიტყვებით „რეგიონული სამხედრო“.

2. 88-ე მუხლის მეორე ნაწილი სიტყვების „253-ე მუხლებით“ შემდეგ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„256-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, 257-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 258-ე მუხლის „ბ“ და „გ“ პუნქტებით, 259-ე მუხლით, 261-ე მუხლის „ბ“ და „დ“ პუნქტებით, 262-ე მუხლით, 263-ე მუხლით, 264-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 265-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 266-ე მუხლით, 267-ე მუხლით, 268-ე მუხლით, 269-ე მუხლით, 270-ე მუხლით, 271-ე მუხლით, 273-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, 274-ე მუხლის „გ“ პუნქტით, 275-ე მუხლით, 276-ე მუხლით, 277-ე მუხლით, 278-ე მუხლით, 279-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებით, 280-ე მუხლით, 281-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეებზე დაპატიმრება, როგორც აღკვეთის ღონისძიება, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დანაშაულის საშიშროების მოტივით“.

ამავე მუხლის ბოლო ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დაპატიმრების სანქციის გაცემის უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქ თბილისის პროკურორებს, მათ მოადგილეებს, რაიონის და ქალაქის პროკურორებს, აგრეთვე რეგიონალური სამხედრო, ტრანსპორტის და სხვა პროკურორებს, რომლებიც მოქმედებენ რაიონის და ქალაქის პროკურორების უფლებებით“.

3. 89-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვების „რაიონის, ქალაქის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „რეგიონული სამხედრო“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მესამე აბზაცში სიტყვების „ქ. თბილისის პროკურორებმა და მათმა მოადგილეებმა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებმა“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე აბზაცში სიტყვების „პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები“ საქართველოს რესპუბლიკის მთავარმა სამხედრო პროკურორმა“.

4. 126-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრები „256-283-ე“. ამავე ნაწილში სიტყვების „პროკურატურის ორგანოების გამომძიებლები“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 256-283-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა საქმეების, აგრეთვე იმ დანაშაულთა საქმეების, რომლებიც მითითებულია „სამხედრო პროკურატურის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონში, წინასწარ გამოძიებას აწარმოებენ „სამხედრო პროკურატურის გამომძიებლები“.

5. 134-ე მუხლის მეორე ნაწილის მეორე აბზაცში სიტყვების „რაიონის, ქალაქის“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „რეგიონული სამხედრო“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მესამე აბზაცში სიტყვების „ქ. თბილისის პროკურორებმა და მათმა მოადგილეებმა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილეებმა“.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მეოთხე აბზაცში სიტყვების „მისმა პირველმა მოადგილემ და მოადგილეებმა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის მთავარმა სამხედრო პროკურორმა“.

6. 382-ე მუხლის მეხუთე ნაწილი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი სამხედრო სასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამხედრო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე“.

7. 384-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი სიტყვები: „ხოლო საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორს ზედამხედველობის წესით პროტესტის განხილვამდე უფლება აქვთ შეაჩერონ სამხედრო სასამართლოს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამხედრო საქმეთა კოლეგიის გაპროტესტებული განაჩენის, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება“.

II. საქართველოს რესპუბლიკის 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ. № 36, მუხ. 662) 332-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვების „განჩინებებსა და დადგენილებებზე“ შემდეგ დაემატოს სიტყვები: „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მის მოადგილეებს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის მთავარ სამხედრო პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე“.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური
ედუარდ შევარდნაძე.
საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე.**

თბილისი, 1993 წლის 21 იანვარი.

ვბეჭდავთ განმეორებით, ვინაიდან 22 იანვარს გამოქვეყნებულ ტექსტში გაიპარა ზოგიერთი უზუსტობანი.

შეიქმნა კორპორაცია

ქვეყანას მეწარმე გადაარჩენს

ამ დღეებში ჭადრაკის სასახლეში გაიმართა დედაქალაქის მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის დამფუძნებელთა კრება, რომელიც გახსნა თბილისის მერის მოადგილემ ბაკურ გულუამ. დღეს, როცა რესპუბლიკის ეკონომიკა უკიდურეს გაჭირვებაშია, აღნიშნა მან, მეწარმეებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ დედაქალაქის მოსახლეობის კვების პროდუქტებითა თუ ფართო მოხმარების საგნებით უზრუნველსაყოფად. ნობელის პრემიის ლაურეატის ფრიდმენის ცნობილი გამოთქმა „ქვეყანა უნდა გადაარჩინოს მეწარმემ“, დღესაც ძალაშია, მაგრამ სამისოდ ჩვენში ყველა პირობა უნდა შეიქმნას, სხვანაირად გაუჭირდება ნებისმიერ მეწარმეს. მისი საქმიანობა უნდა დაიცვას კანონმა, წესრიგმა. მხოლოდ მაშინ ექნებათ მათ თავისუფლად და შეუზღუდავად მოქმედების საშუალება. მაგრამ მათ თუ დიდ გადასახადებს დავაკისრებთ, მუშაობა გაძნელდება.

კრებაზე გამოსულმა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატმა დავით იაკობიძემ ისაუბრა კორპორაციის ბანკის შექმნის აუცილებლობაზე. თქვა, რომ თბილისელი მეწარმეების გაერთიანებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ერთიანად უნდა ვიკისროთ პასუხისმგებლობა ქალაქის კეთილდღეობაზე, საერთო საქმის წინსვლაზე. კოორდინაცია უნდა მოხდეს სურვილისამებრ და მიზნობრივად. დღეს აუცილებელია შეიქმნას ახალი ტიპის ბანკები, რომლებიც იზრუნებენ მცირე ბიზნესის, ვაჭრობის შეუფერხებელი განვითარებისთვის. კავკასიის კონცერნის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ ამირან ქადაგიშვილმა თქვა, რომ თბილისელ მეწარმეებს ბევრი სიკეთის გაკეთება შეუძლიათ დედაქალაქის მოსახლეობისთვის. თვით არაბეთშიც კი თავისუფალი მეწარმეების წყალობით ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად ამაღლდა. იქ ეს ძირითადად იმან განაპირობა, რომ მეწარმეს თავისუფლად გადაადგილების საშუალება ჰქონდა და დიდი ბეგარითაც არ ახრჩობდნენ.

რესპუბლიკის მეწარმეთა და მოიჯარეთა კავშირის თავმჯდომარე ბონდო ზარნაძე მიესალმა კორპორაციის შექმნის იდეას და აღნიშნა, რომ მეწარმეთა მუშაობამ 5-6 თვეში თავისი ნაყოფი უნდა გამოიღოს, მუშაობის შედეგებიც უახლოეს დროში უნდა შეფასდეს. მითუმეტეს, რომ სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ე. შევარდნაძის მეცადინეობით, გადასახადი 28 პროცენტიდან 14 პროცენტამდე შემცირდა. ეს მეწარმეებს ნაყოფიერი საქმიანობის მეტ საშუალებას მისცემს.

კრებაზე ისაუბრეს კორპორაციის წევრთა სადაზღვევო მომსახურებაზე. რესპუბლიკის სატრანსპორტო პოლიციის სამმართველოს უფროსმა გია გულუამ მეწარმეებს პირობა მისცა, რომ გაუმჯობესდება ტვირთების დაცვა. მალე დაიდება ხელშეკრულებები აზერბაიჯანის, ჩეჩნეთის, სხვა რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების შესაბამის სამსახურებთან ტვირთების შეუფერხებელი გადაზიდვის თაობაზე.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა და თბილისის მერი კოტე გაბაშვილი. მათ დახმარება აღუთქვეს თბილისელ მეწარმეებს, თქვეს, რომ ყველაფერს იღონებენ, რათა მეწარმეთა კეთილ საქმეებს ხელი არავინ შეუშალოს.

კრებაზე მეწარმეთა საქალაქო კორპორაციის გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩიეს თბილისის მერის მოადგილე ბაკურ გულუა.

ლალი ქინქლაძე.

დიალოგი

რათა არ გაწყდეს უწყვეტი ჯაჭვი განვითარებისა

ქართულ კულტურაში პრობლემები გროვდება. ერს ყველაზე მეტად სწორედ სულიერების ის უწყვეტი ჯაჭვი აერთიან-ამთლიანებს, წინაპრიდან ესტაფეტასავით რომ გადმოდის თაობიდან თაობაში.

კინემატოგრაფი გამონაკლისი არ არის. ბევრი რამ სტკივა. ამაზე საუბრობენ კინომცოდნეები **რუსუდან თიკანაძე** და ეთერ ოკუჯავა.

ეთერ ოკუჯავა: — ხელოვნებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება კულტურის ჰუმანისტური ტრადიციების შენარჩუნებას. სწორედ იგია უწყვეტი შემოქმედებითი აზრის მაცოცხლებელი ძალა. ჩვენს სინამდვილეში, როცა სოციალურ-პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პრობლემები აგრერიგად მოიცავს გულსა და გონებას, ხელოვნება ზნეობრივ გამოცდას გადის, როგორც ყოფის ხატადქმნილი სინამდვილე.

რუსუდან თიკანაძე: — ხელოვნებაში ტრადიციების შენარჩუნებაზე ფიქრი ჩემთვის კონკრეტული შთაბეჭდილებების გაცოცხლებას ნიშნავს, ამ პრობლემის თვალსაზრისით დღევანდელ დღეს ცხადად წარმომიდგება ჩვენი თანამემამულის, ცნობილი კინორეჟისორის ელდარ შენგელაიას ცხოვრება და შემოქმედება, რაც ძალზე თავისებურად და ორიგინალურად ხსნის ცხოვრებაში ხელოვნის არსებობის მრავალ საინტერესო წახნაგს, მათ შორის ჰუმანისტურ ტრადიციების მემკვიდრეობითობის საკითხს. ამიტომ პრობლემის მეტი თვალსაჩინოებისთვის დავეფუძნები ამ რეჟისორის შემოქმედებას.

ე. ო. — სიამოვნებით. ელდარ შენგელაიას შემოქმედება ქართული კინოსთვის დამახასიათებელ მთელ რიგ საჭირბოროტო პრობლემებს გამოხატავს.

რ. თ. — ჩემი აზრით, ელდარ შენგელაია თანამედროვეობის გამორჩეული რეჟისორია, თუმცა ამ გამორჩეულობას ყოველთვის როდი აგრძნობინებდნენ მას. მხედველობაში მაქვს ჩვენი ახლო წარსული, როცა მის ხსენებაზე ბევრი ერიდებოდა, გაზეთის მესვეურნი შიშს მოეცვა, კრიტიკოსები, ზოგიერთის გამოკლებით, დუმდნენ. ამას თავისი მიზეზი ჰქონდა — გუშინდელ ოფიციალურ წრეებში შენგელაია ქართველი ერის მოღალატედ იყო მიჩეული და მმართველი სტრუქტურები ცდილობდნენ კიდეც, რომ ეს აზრი საზოგადოების ფართო წრეებში დაემკვიდრებინათ. ალბათ გახსომებათ, რომ იმხანად კინოკორპორაციის თავმჯდომარემ ბესარიონ გუგუშვილმა დაგვიბარა კინომცოდნეები და მოგვცა დირექტივა, რომ „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გველიარებინა რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარების ნათელ მაგალითად. ამან აღგვაშფოთა. მოგეხსენებათ, კრიტიკოსები ხშირად ვკამათობთ ხოლმე სხვადასხვა საკითხზე, ფილმებზე, მაგრამ „არაჩვეულებრივ გამოფენასთან“ დაკავშირებით, დღიდან მისი გამოსვლისა, ჩვენი აზრი არ გამიჯნულა. არც ერთმა კრიტიკოსმა არ შეუსრულა სურვილი კორპორაციის მაშინდელ თავმჯდომარეს, რომელიც სულ მალე მთავრობას ჩაუდგა სათავეში.

ე. ო. — რამდენადაც მახსოვს, ელდარ შენგელაია საქართველოს კინომატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარეა 1976 წლიდან. მომდევნო წლებში კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრიც იყო, მას არც სხვა წოდებები აკლდა. ამას იმიტომ შეგახსენებთ, რომ არის გარკვეული წრე საზოგადოებისა, რომელიც უარყოფით კონტექსტში იხსენებს ხოლმე მისი ბიოგრაფიის ამ ფაქტებს. უიმცალოა ჩემი, ამ შემთხვევაში პროფესიონალის, აზრით იგი არასდროს ყოფილა, ასე ვთქვათ, „სამეფო კარის“ ხელოვანი. ეგრეთ წოდებულ პრივილეგირებულ შემოქმედთა შორის სრულიად ბუნებრივად აღმოჩნდა, რაკილა ქართველ შემოქმედთა ავანგარდში იყო. ხელისუფალთა მიერ მისი აღიარების მიზეზი უნდა ვეძიოთ მისსავე ფილმების მხატვრულ ხარისხში.

რ. თ. — ცოტა უცნაურად მეჩვენება წარსულ დროში საუბარი ცხოვრების კომუნისტურ ხალიათზე. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ, თუ იგი გაგებულია როგორც ცხოვრების ყაიდა, მაშინ ვიტყოდი, რომ კომუნისტების წასვლით ის უმალ არ დაკარგულა. პირიქით, მთავრობის მსახურ ხელოვანთა სტატუსი კვლავ დარჩა ახალ, ასე ვთქვათ, ეროვნული მთავრობის დროსაც, ოღონდ მოქმედი პირნი შეიცვალნენ. ნიჭიერები შეცვალეს უნიჭოებმა. შეგახსენებთ, რომ ჩვენ, ყველანი ამ გარემოში ვცხოვრობდით და ყველაზე დიდი გმირობა იყო იმ დროს პატიოსნად ცხოვრება, პიროვნებად დარჩენა. ელ. შენგელაიამ ეს შეძლო. მას არ გადაუღია მმართველი ხელისუფლების მაამებლური არც ერთი ფილმი. ხოლო მის თანამდებობაზე, როგორც კავშირის მდივანზე — სულ იოლად შეიძლება პასუხის გაცემა: იმ დროს, როცა ოფიციალური წრეები მას მოღალატედ იხსენიებდნენ, ჩვენ იგი კვლავ ერთხმად ავირჩიეთ კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარედ.

ე. ო. — დიახ, ჩვენ ავირჩიეთ იგი.

მის მიმართ, ცხადია, გვქონდა სიმპათიები, პატივისცემა, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილება ერთგვარი პასუხი იყო ხელისუფლების მუდმივი თავდასხმებისა საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელსაც თავისიანად არ რაცხდა. მათ შორის იყო შენგელაიაც, და მისი არჩევით ჩვენ შევქმენით როგორც მისი, ასევე ჩვენი, თავდაცვის მექანიზმი, ჩვენ ყველანი ვჭირდებოდით ერთმანეთს.

რ. თ. — ცხოვრებაში, ალბათ, ყოველთვის დგება ისეთი კრიზისული დრო, როცა გამოიცნობა პიროვნება. ელდარ შენგელაია მთელი ცხოვრების მანძილზე პიროვნული შესაძლებლობების სისტემატური განვითარებით ყალიბდებოდა.

ე. ო. — ვფიქრობ, რომ თავისი პიროვნული თვისებები ელდარ შენგელაიამ თავის სტუდენტებსაც გადასცა.

რ. თ. — მას საინტერესო სწავლების მეთოდი აქვს! რთულია აღწერო ის ატმოსფერო, რომელსაც ასე მარტივად, ერთი შეხედვით იოლად ქმნის იგი. ამ უბრალოებაში, მე ვხედავდი ბუნებრიობას, მშვენიერებას.

ე. ო. — ყველაფრის მიუხედავად, მისი უმთავრესი ღირსება მაინც მისი შემოქმედებაა, ის პროცესია, რომელსაც ჰქვია ხელოვნის შინაგანი სამყაროს მხატვრულ სახეებში ამეტყველება. ჩემი აზრით, შენგელაიას, როგორც ხელოვნის დამახასიათებელი თვისებაა თანამედროვე საარსებო პრობლემების მოძიება და ჩანაფიქრის იმგვარად გამოხატვა, რაც მას თანამოაზრეებს შემატებს. გავიხსენოთ, თუნდაც, „ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი“. ფილმის გმირი ცდილობს პროფესიული დანიშნულების ნორმალურ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას — ხელნაწერის წაკითხვას. და სწორედ ერთი შეხედვით ამ კანონიერი მოთხოვნის გზით ავტორი აღძრავს საზოგადოების არანორმალური მდგომარეობის საკითხს. ელდარ შენგელაიას სურვილი, ილაპარაკოს პრობლემის არსზე მისი სიღრმის შეგრძნებით, შთამბეჭდავ ძალას გმირთა სახეებში ავლენს. სწორედ აქ ჩნდება მთელი სისრულით 70-80-იანი წლების ქართულ კინოში გამომჟღავნებული კრიტიკული პათოსი.

რ. თ. — ელდარ შენგელაია მხატვრული შემოქმედების ურთულეს ფორმებს ანაწილებს უმცირეს შემადგენელ ნაწილებად და ამ დეტალებისგან აყალიბებს განზოგადოებების წყებას. ეს განზოგადოებანი ფართოა და ამასთანავე ძალზე კონკრეტული. დიახ, შენგელაიას ფილმებში არ არის ყველაფრის თავმოყრის მშფოთვარე ცდა, არ არის ძალდატანება. ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ იგი არ ცდილობს იყოს განმსჯელი. მისი სააზროვნო კრიტერიუმია მშვენიერების მარადიულობა, რასაც იგი მკაფიოდ ადასტურებს მხატვრული თეზისით — ადამიანის გენოტიპის დამახინჯება უხეშ ძალას არ ძალუძს. და კიდევ: შენგელაია კულტურას განიხილავს არა გამოყენებითი მნიშვნელობით, არამედ როგორც სულიერი მოთხოვნილების რეალიზაციის ბუნებრივ მოთხოვნილებას. ეს არის განახლებისა და თვითჩამოყალიბების მუდმივი პროცესი, სადაც გამოცდილება გადადის წინაპრიდან ახალ თაობაზე და ამით აიხსნება როგორც უწყვეტი პროცესი ერის კულტურული ცხოვრებისა, ისე მისი დიალექტიკური არსიც. ერთი სიტყვით, ეს არის ცხოვრების გამოცდილება, ის არის გამოცდილება, განთავსებული ძეგლებსა და ნივთებში. უფრო კონკრეტულად ესაა პეპინიას და აგულის ურთიერთდამოკიდებულება, მათი გარემომცველი სამყარო — ბუნების სამყარო. მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია მთავარი თემის — პირადი პასუხისმგებლობის ერთგულება. ეს თემა რეალიზდება სხვადასხვა დონეზე; მაგალითად, ადამიანი და კონკრეტული ცხოვრებისეული ყოფა, ადამიანი და სამყაროს ისტორიული განვითარება, ადამიანი და მისი მუდმივი პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და სამყაროს წინაშე.

ე. ო. — მოგეხსენებათ, რეჟისურა ხელოვნის თვითგამოხატვის ფორმაა. სამწუხაროდ, ქართული კინოს მიმდინარე პროცესში აქა-იქ თუ შევამჩნევთ ხელოვნის ინდივიდუალობით გამორჩეულ ფილმს. უფრო ხშირია, პირობითად რომ ვთქვა, დრამატურგიული ძალადობა, პრეტენზიულობა, ამორფულობა — სააზროვნო და მხატვრული საწყისების დაკნინება.

რ. თ. — მე ასე ვიტყოდი, ხელოვნებაში უხეში ძალის ჩარევით, ბილწსიტყვაობით — ვერაფერს შექმნი. შემოქმედს, რეჟისორს საკუთარი ხმა უნდა ესმოდეს უპირველეს ყოვლისა და, რაც მთავარია, სჯეროდეს მისი, დააჯეროს სხვაც. სამწუხაროდ, როგორც თქვენ ბრძანეთ, უმეტეს შემთხვევაში ასე არ არის.

უხეში ძალისა და შემოქმედის ხმის პრობლემა სხვა განზომილებაშიც უნდა დავინახოთ. რატომ მოხდა, რომ სულ ახლახან ცნობილ ქართველ ხელოვანთა — სტურუას, ისაკაძის, იოსელიანის, შენგელაიას, აბულაძის უარმყოფელმა ძალამ ვერ დაგვარწმუნა თავის „ხელოვნებაში“, ანუ იმ „ხელოვნებაში“, რომელიც მათ დაუპირისპირეს ჩვენი კულტურის მოღვაწეთა სახელებს. საქმე ის არის, რომ მათ არაფერი ჰქონდათ დასაპირისპირებელი, გარდა ყვირილისა და მიტინგებისა. ისტერიული ყვირილი არგუმენტად ვერ გამოდგება, უფრო მეტიც, იგი სისუსტის ნიშანია და საკუთარი ხმის უქონლობას ნიშნავს მხოლოდ.

ე. ო. — მე მაინც მგონია, რომ ცნობილ ხელოვანთა უარყოფის, მათთან დაპირისპირების მიზეზი იმდენად მათი ხელოვნების მიუღებლობა კი არ იყო, თუმცა ზოგჯერ ესეც იყო, რამდენადაც ვიწრო პირადული ინტერესები.

რ. თ. — გეთანხმებით. ამასთან დაკავშირებით მე გავიხსენებ ჩვენი დროის ცნობილი ფილოსოფოსის ხოსე ორტეგა გასეტის სიტყვებს, რომელიც მშვენივრად ხატავს ასეთ „ხელოვანთა“ ბუნებას. იგი მათ საშუალო ადამიანებს უწოდებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც ეგრეთწოდებულ საშუალო ადამიანს გაუჩნდა აზრი სამყაროს შესახებ, უმალ მოისურვა იგი გამოეთქვა სახალხოდ. საოცარია, მაგრამ ასეთ ადამიანს ატროფირებული აქვს სმენის ორგანო, თუმცა მას ეს არ აფერხებს, რადგან არავის მოსმენა არ სურს. მან თავად იცის ყველაფერი. მისთვის დადგა, ასე ვთქვათ, განსჯისა და გადაწყვეტილების მიღების დრო. და არ არსებობს საზოგადოების ცხოვრებაში ისეთი საკითხი, რომლის გადაწყვეტაც არ შეეძლოს ამ ყრუ და ბრმა „ხელოვანს“. აი, ასეთი ადამიანების ნააზრევი ჭეშმარიტებისთვის შამათის გამოცხადებას ნიშნავს. მე ვფიქრობ — ამბობს გასეტი, — სრული უაზრობაა ილაპარაკო იდეებზე, სადაც არ სცნობენ მაღალ ავტორიტეტს. ავტორიტეტის შესამეცნებლად კი ინტელექტია საჭირო. საშუალო შესაძლებლობების ადამიანს თავისი გონებრივი პოტენციალით ეს არ ძალუძს, რადგან მისი ორგანიზმი ვერ ფლობს თვით აზროვნების უნარს. საშუალო ადამიანის აღზევებამ შეიწირა მერაბ მამარდაშვილი, ზურაბ ჭავჭავაძე და სხვები, შენგელაია და ბევრი სხვა მტრებად გამოაცხადა და ასე შემდეგ.

რ. თ. — საშუალო ადამიანები ხელოვნებაში ყოველთვის იყვნენ და არიან როგორც ყველგან, ისე ქართულ კინოშიც. მაგრამ ქართული კინოს ისტორიის მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ ისინი არასდროს წარმოადგენენ შემოქმედებითს ბირთვს. ახლა კი ყველაფერი დავივიწყეთ. დაგვავიწყდა, რომ პიროვნების მსოფლმხედველობა სტატიკა კი არა, დინამიკაა, დოგმა კი არა, აზრის მოძრაობაა, რომ ჭეშმარიტება შეიცნობა მხოლოდ ინდივიდუალური შემეცნების პროცესში.

ე. ო. — ასე და ამგვარად გულმავიწყობითა თუ განზრახ დაგებული მახეებით დაიწყო რღვევა ჩვენმა მთლიანობამ. სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ეს არც ისე ძნელი ყოფილა, როგორც ქართველებს გვეგონა. და თუ ერთ გარკვეულ ეტაპზე გაღვივდა პატივმოყვარეობა, ძალადობა, თვითდამკვიდრების მანიაკური მოთხოვნილება, ახლა უნდა ვეცადოთ ავამოქმედოთ გადარჩენის ინსტიქტები, იარები დავიამოთ სიყვარულით და ერთგულებით.

რ. თ. — სამწუხაროდ, მილიონობით ადამიანი ცხოვრობს სულიერ სიბრმავეში და ვერც წარმოუდგენია აზრის ნათელი, ის ნათელი, რომელიც თაობებმა შრომით, ბრძოლით, წვალებით შექმნეს.

დიახ, ჩვენ უამრავი დამცირება, შეურაცხყოფა გადავლახეთ. ვიბრძოლეთ ჩვენი კულტურის ტრადიციების შესანარჩუნებლად. მაგრამ განა იმისათვის, რომ შედეგად მიგვეღო პრიმიტიული, შაბლონური ფორმები. ჩვენდა საბედნიეროდ, „კეთილი მეზღაპრეების“ დრო წავიდა. თუმცა ეროვნული პათოსით შენიღბულმა, ფაშისტური ძალისხმევის ყოველმა ცდამაც უშედეგოდ არ ჩაიარა. ჭეშმარიტი ქართული ხელოვნებით ნასაზრდოებმა საზოგადოებამ ფარდა ახადა ფსევდოპოლიტიკოსებს. სულ უფრო მეტი ადამიანი ხვდებოდა, რომ „მეზღაპრეების“ ბილწსიტყვიანი შეძახილები აბსტრაქცია იყო, ხოლო თანამედროვე აბსტრაქცია ბოლშევიკური ისტერიაა. ერთი სიტყვით, ამ სიტუაციამ გამოკვეთა ორი მენტალიტეტი და ოფიციალური წრეების და მისი ამალის ბნელსა და მრისხანე ბუნებას დაუპირისპირა ნათელი და გონიერი საწყისი ქართველი ადამიანისა. ეს იყო ორი მენტალიტეტის ბრძოლა, ბრძოლა აზრისა და სიბნელისა.

ე. ო. — გონიერება და ინტელექტი ეროვნული საუნჯეა, რომელიც მსოფლიო გამოცდილებასთან ერთად ქართული კულტურის მხატვრულ-ესთეტიკური მრწამსითაა ნასაზრდოები.

რ. თ. — მიუხედავად ამისა, „ერისკაცებმა“ სწორედ იგი გამოაცხადეს სამშობლოს დამღუპველად და პირველი ლახვარი ქართულ კინოსა და კინემატოგრაფისტებს ჩასცეს.

ე. ო. — და მაინც, პროცესი მიედინება. იქმნება ფილმები, შარშან შემოდგომაზე გამართულმა კინოფესტივალმა „ოქროს არწივმა“ დაგვიდასტურა, რომ სიცოცხლე გრძელდება. ცხადია, ფილმების ხარისხი სრულიად სხვა საკითხია და, ალბათ, ჩვენი მსჯელობის საგანი გახდება. კარგი იქნება, თუ კინემატოგრაფისტებს პროფესიულ საკითხებზე მსჯელობისაკენ შემოვაბრუნებთ ჩვენ, თეორეტიკოსები. მე მეჩვენება, რომ ბევრი ფილმი დროისათვის ხარკის გადახდაა. ბუნებრივია, ყველა ხელოვანი ვერ დააღწევს თავს მოვლენათა ზერელე ახსნას და ვერ შეძლებს მარადიული ცნებებით სინამდვილის გააზრებას. მე ვფიქრობ: იმისთვის, რომ მაყურებელი არ გაიტაცოს ამგვარი ფილმების ყალბმა პათოსმა, საჭიროა ჩვენ მივცეთ მათ სათანადო შეფასება. თუმცა, ვიმეორებ, ასეთი პრინციპული და არგუმენტირებული კამათი უპირველეს ყოვლისა კინემატოგრაფისტებთან, ამ ფილმების შემქმნელებთან გვმართებს.

რ. თ. — კი, ცხოვრება გრძელდება, სპექტაკლებიც უნდა იდგმებოდეს, ფილმიც უნდა გადაიღონ, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ცხოვრება ჯერჯერობით გრძელდება ტკივილით, ომით, უბედურებით, და, ჩემი აზრით, ზეიმის მოწყობა მეტ თავშეკავებას მოითხოვს. კინოფესტივალი, თუ ის გასამხნევებლადაა მოწოდებული, მიზნად უნდა ისახავდეს ჩვენი მეომრების გამხნევებას. აი, ამიტომ მერჩია ჩვენი ცნობილი კინოვარსკვლავები ფრონტის ხაზზე მენახა უფრო ხშირად, რათა თბილი სიტყვებით მიემართათ ქართველი ჯარისკაცებისთვის.

რაც შეეხება ჩვენი კინოხელოვნების აწმყოსა და მომავალს, ვფიქრობ, რომ ქართული კინო, ისე როგორც საზოგადოდ ქართული ხელოვნება და კულტურა, მოწოდებულია მსოფლიო განახლებაში მონაწილეობის მისაღებად. მას შეუძლია, თავისი ტრადიციების გამო, ღირსეული მონაწილე იყოს ამ პროცესისა — ოღონდ ბოლომდე უნდა შევიცნოთ საკუთარი პასუხისმგებლობა, რასაც ცხოვრება და სამშობლო უსახავს მას. საჭიროა არა დირექტივებით და ყალბი იდეოლოგიით ხელმძღვანელობა, არამედ წინაპრებისაგან სწავლა, ოღონდ სწავლა ახლებურად, რომ არ გაწყდეს უწყვეტი ჯაჭვი განვითარებისა.

ვულოცავთ!



ცნობილ ქართველ კინორეჟისორს **ელდარ შენგელაიას** 60 წელი შეუსრულდა. ჩვენი გაზეთის რედაქცია გულითადად ულოცავს ხელოვანს დაბადების დღეს, რომელსაც იგი ხელდამშვენებული შეხვდა ახალი ფილმით — „ექსპრესინფორმაცია“.

ქვემოთ გთავაზობთ ცნობილ კინომცოდნეთა დიალოგს ელდარ შენგელაიას შემოქმედებითს მრწამსზე.

საზრისი

ახალი წელი დაიწყო

აპოლონ სილაგაძე

იგი მართლაც ახალი უნდა იყოს. ძველთან მას მხოლოდ ის უნდა აკავშირებდეს, რომ იგი მოხსნის სიტუაციას, რომელიც ძველს ახასიათებდა.

გასული წლის შეფასებისას, პერსპექტივის გათვალისწინების პოზიციებიდან, მთავარი იმის აღნიშვნა კი არ არის, რომ მართლაც გვაქვს ერთი დიდი მონაპოვარი — არჩევნების გზით დამყარებული კანონიერი ხელისუფლება (თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, გვაქვს შემდეგი დინამიკა: სამხედრო ხელისუფლება — სამოქალაქო, მაგრამ არალეგიტიმური ხელისუფლება — სამოქალაქო ლეგიტიმური ხელისუფლება), არამედ იმის გაცნობიერება, რომ ამ სქემაში და ამ მონაპოვარში ერთი სერიოზული ნაკლიც და შესაბამისი სირთულეც არის: ამოსავალ, საწყის ეტაპად მას აქვს წინა ხელისუფლების დამხობა სამხედრო ძალით. საქმე ის არის, რომ ამგვარი სტარტის ფაქტორი, როგორი წარმატებულიც არ უნდა იყოს შემდგომი მსვლელობა (მითუმეტეს, თუ იგი წარუმატებელია), ყოველთვის „ესწრება“ განვითარებას, იგი მუშაობს და მოქმედებს ლატენტურად, რის გამოც ხელისუფლებას განსაკუთრებულად ფაქიზი მოღვაწეობა ჰმართებს — წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტორი ამუშავდება და იმოქმედებს რეალურად, ე. ი. ერთხელ შექმნილი პრეცედენტი შეიძლება გამეორდეს.

ამ კონტექსტში, პირველ ყოვლისა, პარლამენტი იგულისხმება.

მისი შეფასებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა იმ რეალობას, რომ ჩვენს პირობებში არჩევნებში ამომრჩეველი იყო საშუალება და არა სუბიექტი, და, შესაძლოა, საბოლოო ჯამში სათანადოდ მოუმზადებელმა ამომრჩეველმა სათანადოდ ჩამოუყალიბებელი პოლიტიკური ელიტა აირჩია; არც იმას, რომ წინასაარჩევნო განლაგებაში პარტიები და ბლოკები ფაქტიურად იყვნენ კლიენტელები, პიროვნებათა და არა პროგრამების გარშემო დაჯგუფებული საძმოები, და რომ ამ პროტოპარტიების პარტიებად ჩამოყალიბება პარლამენტის მუშაობის პროცესში უნდა განხორციელდეს, რაც თავისთავად ზრდის ამოცანებს და ართულებს პარლამენტის ფუნქციონირებას; არც იმას, რომ საარჩევნო კანონის და ცოტა არ იყოს უცნაური არჩევნების დახმარებით წარმომადგენლობით ორგანოში მოხვდა ზოგი ტირაჟში გასული, ან უფუნქციო თუ მოუმზადებელი ადამიანი. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ პარლამენტის მუშაობას, რაც მის პრინციპულ სახეს ქმნის.

ამ პოზიციებიდან დღევანდელი პარლამენტი, ის, თუ როგორ დაიწყო — და დღესაც აგრძელებს მუშაობას, დიდი კრიტიკის ღირსია: გარდა ყოველდღიური ტელეშოუსი, მან მოგვცა მაგალითები კანონზე მაღლა დგომისა, კანონის მიმართ თავისუფალი დამოკიდებულებისა, რაც ფაქტობრივად კანონის უგულებელყოფას და ამომრჩეველთა ნების იგნორირებას ნიშნავს, საბოლოო ჯამში კი — პარლამენტარიზმისა და სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპებიდან გადახვევას. დეტალიზაციის გარეშე ვიტყვი, რომ ეს აისახა ხელისუფლების კანონის მიღებაში, იმ რამდენიმე არჩევაში, რომელიც უკვე განხორციელდა და ა. შ. მაღალ მატერიებს თავი რომ დავანებოთ, პარლამენტმა სუბიექტური მოსაზრებების გამო დღემდე არ დაასრულა მინისტრთა კაბინეტის ფორმირება და მასში რამდენიმე ვაკანსია დატოვა, პარლამენტმა, საარჩევნო კანონის საწინააღმდეგოდ, დღემდე დაუშვა შეთავსებები, მათ შორის — მინისტრობასთან და ა. შ.

ასეთი ვითარების პროგნოზირება ადრევე შეიძლებოდა. ჯერ კიდევ ზაფხულში მე მქონდა შესაძლებლობა, რამდენიმეჯერ ხაზგასმით აღმენიშნა, რომ დაუშვებელია საარჩევნო კანონთან გაუთავებელი თამაში, მისი, სურვილისამებრ ჩასწორება, ეს ისეთი ცუდი პრეცედენტია, რომელიც თავის რეციდივს აუცილებლად მოგვცემს პარლამენტში.

დღეს ყოველივე ამის ნეიტრალიზებაა საჭირო პარლამენტის მხრიდან. ჩვენ გვინდა ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრებული ის პოლიტიკური დინამიკა, რომელიც გულისხმობს ხელისუფლების ცვლას ციკლურად, მხოლოდ ახალი არჩევნების გზით. საწინააღმდეგო, ჩვენთვის, სამწუხაროდ, უკვე გამოცდილი, სქემის რეალიზებისთვის საბაბი მხოლოდ კანონზე მაღლა დადგომა შეიძლება იყოს: კანონზე მაღლა დგომა კანონს გარეთ ყოფნას ნიშნავს, ხოლო კანონგარეთობა ყველაფრის დაშვების საშუალებას იძლევა. ამიტომ პარლამენტმა უნდა გაძლოს ციკლის დასრულებამდე, ან, სხვანაირად, ისევ კანონიერად, ვადამდელი არჩევნებით დაასრულოს თავისი მოღვაწეობა. მე საკუთრივ პარლამენტზე არ ვზრუნავ — მისი შემადგენლობა და შესაძლებლობები, რბილად რომ ვთქვათ, უკეთესი შეიძლებოდა ყოფილიყო. აქ მთავარი ისაა, რომ ჩვენ, რომელთაც მოვახდინეთ დამოუკიდებელი ქვეყნის რესტიტუცია, ორ წელზე მეტი ხნის ისტორიის მიხედვით განვითარების მხოლოდ ერთ სქემას ვიცნობთ— არსებული ხელისუფლების ვადამდე ძალით შეცვლას, მეორე ვარიანტი — ხელისუფლების კანონიერი შეცვლა მისი რწმუნებების ვადის გასვლის შემდეგ — ჩვენი პრაქტიკისთვის ჯერჯერობით უცნობია. ამიტომ უნდა გაძლოს ხელისუფლებამ, თუნდაც ბუტაფორულმა პარლამენტმა, მისთვის მიცემული სამი წლის განმავლობაში — ამის შემდეგ ჩვენთვის უახლოესი გამოცდილება იქნება მეორე და არა პირველი ვარიანტი.

რადგანაც საარჩევნო კანონს შევეხეთ, უნდა აღინიშნოს მისი ერთი ნაკლი, რომელიც დღევანდელ სიტუაციაზე მოქმედებს. საქმე ის არის, რომ მისი ძალით ხელისუფლებაში შევიდა ყველა პოლიტიკური (და არაპოლიტიკური) ჯგუფი, რომელიც საქართველოში არსებობდა. დღეს ხშირად სვამენ კითხვას: კარგია ეს, თუ ცუდი? ეს კარგია მაშინ, როდესაც კარგია, და ცუდია მაშინ, როდესაც ცუდია. ხოლო ცუდია მაშინ, როდესაც ხელოვნურია. ჩვენთან ეს ხელოვნურად მოხდა და შედეგად ის მივიღეთ, რომ პარლამენტსგარეთა ოპოზიციაში შეიქმნა ვაკუუმი, რომლის შევსება ყველას და ყველაფერს შეუძლია, მათ შორის — შევსება გაერთიანებულად, კონსოლიდირებულად. დღეს შევსების პროცესი უკვე დაიწყო და შესაძლო პერსპექტივა ის არის, რომ ამგვარი ოპოზიცია მხოლოდ ხელისუფლების დამხობის სურვილით იყოს შეპყრობილი. პრობლემა რთულდება იმის გამოც, რომ რევოლუციონერთა ძველ ტალღას და მშენებელთა ახალ ტალღას შორის წინააღმდეგობები უკვე წარმოიშვა. ხოლო დათმობა და ადგილის გათავისუფლება საქართველოში არც ადრე იცოდნენ, დღესაც არ იციან.

ნორმალური, კონსტრუქციული პოლიტიკური ბრძოლის არენა ჩვენთან ვერ შეიქმნა და ეს საპარლამენტო არჩევნების ერთ-ერთი შედეგია. ასეთი არენა შესაქმნელია, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ ისეთ ქაოსს, როგორიც არის დღეს, მაგალითად, ლიტვაში. საწინააღმდეგო მაგალითი: ესტონეთში ჩამოყალიბდა მძლავრი პარტიები ქრისტიან-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატების სახით, და იქმნება ნორმალური მემარცხენე-მემარჯვენე პოლიტიკური სპექტრი. თუ ჩვენში ასეთი პროცესი ბუნებრივად ვერ ვითარდება, პოლიტიკურმა ელიტამ დასაწყისისათვის მისი ინსპირირება უნდა შეძლოს.

გასული წლის შეფასებისას, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკუთვნის ედუარდ შევარდნაძის მოღვაწეობას, მისმა ჩამოსვლამ საქართველოში — მხოლოდ ამ ფაქტმა თავისთავად — მაშინვე შეასრულა დიდი და პოზიტიური როლი: მან ამოავსო ორი ვაკუუმი — პოლიტიკაში და ხელისუფლებაში. რაც შეეხება მისი მეთაურობით სამოქალაქო ხელისუფლების მოღვაწეობას, აქ, ბუნებრივია, სახეზეა კონკრეტული წარმატებებიც და კონკრეტული წარუმატებლობებიც.

შევეხები საკითხის მხოლოდ ერთ მხარეს. შევარდნაძეს, როდესაც თბილისში ჩამოდიოდა, რა თქმა უნდა, მოფიქრებული ჰქონდა თავისთვის საკუთარი სტატუსიც, ფუნქციაც და სამოქმედო პროგრამაც. სტატუსი, როგორც ჩანს, ეს იყო მისი მსოფლიო არენაზე ბოლოდროინდელი წარმატებული მოღვაწეობის თავისებური გაგრძელება. ეს იყო ფუნქცია მშვიდობისმქნელისა, საყოველთაო ჰარმონიისთვის მებრძოლისა, რაც რადიკალურ ნოვატორობას, ახალ გლობალურ სტრუქტურებს, განახლებულ ფსიქოლოგიას ითვალისწინებდა. ამას ემყარებოდა მისი სამოქმედო პროგრამაც, რომელიც, როგორც ჩანს, მასშტაბური იყო და საქართველოში ახალ წესრიგს და ახალ მოწყობას გულისხმობდა. შევარდნაძე მზად იყო მისი განხორციელებისათვის. მაგრამ მკაცრი რეალობა, რომელიც კონკრეტულ ეკონომიკურ და სოციალურ კრიზისზე გაცილებით მეტია, აგრეთვე შესაძლებლობები და ტრადიციონალისტური ყოველდღიურობა, რომელიც მას დახვდა, გამოუვალ წინააღმდეგობაში შევიდა იმ პროგრამასთან და იმ სტატუსთან. რაც მთავარია, მას დახვდა უზარმაზარი სია, გრძელი რიგი ადამიანებისა, რომლებიც დადებითი ადამიანები იყვნენ, მაგრამ რომელთაც სხვა პროგრამა, სხვა საშუალებები და სხვა შესაძლებლობები ჰქონდათ. ამ რიგის გასტუმრება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, პიროვნულ, კუთხურ და ა. შ. გადახლართვებში დამიწების შემდეგ პროგრამაც ტრანსფორმირდა იძულებით და მისი ავტორიც. ეს ტრანსფორმაცია არ იყო გამოწვეული კარგი ცხოვრებით და, შესაბამისად, არ იყო პროგრესული — პროგრამაც გაღარიბდა რამდენიმე შკალით, განვითარების დინამიკაშიც დაიკარგა რამდენიმე ტემპი.

მოვლენა ორმხრივი იყო. მეორე მხარეს ის იყო, რომ აქ არსებობდნენ და არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავისთავად, თავიანთი შინაგანი კონსტიტუციით, მზად იყვნენ იმ ფართე პროგრამისათვის, მათ იგი აიტაცეს შევარდნაძის ჩამოსვლამდე. საკმაოდ ძნელია მათი ზუსტად მარკირება. დაახლოებით ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც რაღაცას უცდიდნენ, ფაქტობრივად განზე იდგნენ საბჭოთა პერიოდის პირობებში. გამოცოცხლდნენ გამსახურდიას მოსვლის შემდეგ, მაგრამ ეს გაცრუებული ოცნება აღმოჩნდა და ისინი ისევ განზე დარჩნენ. მეორე გამოცოცხლება შევარდნაძის მოსვლას დაუკავშირდა, მაგრამ ისევ— უკვე სხვა, პროგრამის ტრანსფორმირებასთან დაკავშირებული მიზეზების გამო — განზე დარჩნენ. სავარაუდოა, რომ დღეს მათი სპორადული გამოჩენა და გააქტიურება ერთადერთი რამაა, რაც შეიძლება აღიზიანებდეს პროგრამის ავტორს — ეს მას შეახსენებს იმ მასშტაბურ სქემას, რომელიც ჯერჯერობით, იძულებით, უმოქმედო აღმოჩნდა.

ამ ასპექტში იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ ინტელექტუალური გუნდის შექმნა შევარდნაძისთვის ჯერჯერობით განუხორციელებელი პრობლემაა, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩრდილოვან კაბინეტზე, რომელიც ნორმალურ პირობებში ასევე საჭიროა.

დღეს ერთი ტენდენცია უკვე შეიმჩნევა, რაც გარკვეული პროგნოზირების საბაბს იძლევა: არ არის გამორიცხული ჯერ ინტელიგენციის, ხოლო შემდეგ — მოსახლეობის, გაუცხოება ხელისუფლებისაგან.

საერთოდ, პრობლემა უფრო ფართოცაა. ჩვენი საზოგადოების ზოგადი დონე აშკარად და საგრძნობლად დაეცა, დაეცა არაპროფესიონალობისა და პროვინციალიზმის ხარჯზე. ის, რაც ჩვენ ამ მხრივ გვქონდა უახლოეს წარსულში — ხოლო გვქონდა არც ისე ბევრი, — დღეს უკვე სანატრელია. მაგალითების მოტანა ნებისმიერი სფეროდან შეიძლება. ვთქვათ, დავით გურამიშვილის საიუბილეო საღამო, რომელიც ჩვენ წელს ჩავატარეთ, ადრე ასეთი უსუსური არ იქნებოდა, ყოველ შემთხვევაში ადრე მომხსენებელი არ იტყოდა: „გურამიშვილის პოემა „ქართლის ჭირი“... მომხსენებელს ის მაინც ეცოდინებოდა, რა დაუწერია გურამიშვილს და რა —არა.

ასე რომ, პრობლემები ხელისუფლებასაც აქვს, საზოგადოებასაც. ჩვენი სვლა ჯერჯერობით ყველაზე უფრო ღარიბი პროგრამის მიხედვით სვლაა. ნორმალური პროგრამა და ნორმალური სვლა მხოლოდ დღევანდელი რეალობის მოხსნის შემდეგ იქნება შესაძლებელი.

ჩვენი დღევანდელი რეალობა ომია. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ, შესაძლოა, ჩვენ ყველას ჯერ კიდევ სრულად არ გვაქვს აღქმული, რა საშინელი რეალობაა ომი — კონკრეტულად, შინა ომი — იმ ქვეყნისთვის, რომელიც ჩამოყალიბების სტადიაზე იმყოფება (შინა ომი აფხაზეთში ომიცაა და ჩვენს შორის ომიც): ეს ქვეყანა მომავალში ისეთი იქნება, როგორც დღეს ყალიბდება. ის აზრი, რომ ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა, ყველაფერს ნულიდან ვიწყებთ, აბსოლუტურად არასწორია— ჩვენ უარეს ვითარებაში ვართ: ჩვენ ცარიელ ადგილზე არ ვიწყებთ მშენებლობას, ჩვენ გადმოგვყვა ძველი საძირკველი. ომის მდგომარეობა იმის ხელსაყრელი პირობაა, რომ ჩვენ იძულებულნი ვიყოთ ფორსირებულად, დღევანდელი, წარმავალი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, დავტოვოთ საძირკველი და რაღაც ვაშენოთ. მაგრამ ეს აღარ იქნება გარდაქმნა, ეს იქნება მახინჯი საზოგადოების და მახინჯი სტრუქტურების დატოვება, ე. ი. დამკვიდრება.

ჩვენ არ დაგვიწყია რეფორმატორული მოძრაობა. ჩვენ მთავრობისთვისაც რეფორმატორული დანიშნულება არ მიგვიცია. ერთადერთი ამოცანა, რომელიც მას დავუსახეთ, არის გადარჩენის, ამ ზამთარში გაძლების ამოცანა. ეს ჩვენთვის სამწუხარო და იძულებითი რეალობაა, მაგრამ ამგვარი სეზონური პროგრამის და ამგვარი სეზონური მთავრობის ჩვენს მიერ აღიარება, როგორც რეალობისა, ეს უკვე დამარცხებაა, როგორი გამარჯვებაც არ უნდა გველოდეს ომში. თუ ჩვენ ვიღებთ გარდამავალი პერიოდის ფორმულას, მასში შესაბამისი შინაარსი და შესაბამისი ფუნქცია უნდა დავინახოთ, მაგრამ უკვე მეორედ — ამჯერად ომის და ყოველი ჩვენგანის ეგოცენტრიზმის გამო — ჩვენ ამ ფუნქციას არ ვასრულებთ. ორჯერ ერთსა და იმავე ადგილზე დგომა და ტკეპნა, ქვეყნისთვის ისეც დამარცხებაა. ასეთი გარდამავალი პერიოდი დროის დაკარგვაც არ არის, ეს გაცილებით მეტია და გაცილებით უარესი. ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ამგვარ პირობებში დემოკრატიაზე თუ საბაზრო ურთიერთობებზე დილეტანტური ლაპარაკი მხოლოდ მოდური სიტყვებია, რომელთა უკან არავითარი საქმე არ გამოჩნდება.

მხოლოდ ვინმე, რამდენიმე ადამიანი შეიძლება გაამდიდროს ომმა, ქვეყნისთვის იგი დაღუპვაა. ქვეყანას არავითარი საშუალება არ ექნება, მდიდარი პროგრამა შექმნას და მით იხელმძღვანელოს და იაროს. უნდა გავიმეორო, რაც უკვე მითქვამს: სანამ ომია, ხელისუფლებაში საშუალო ადამიანები იქნებიან; სანამ ომია, საზოგადოებაში სამოქმედოდ და ორიენტირად საშუალო ფორმულა იქნება.

(დასასრული მე-4 გვ.).

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სამუშაო ვიზიტად ბაქოსა და ერევანში

იტალიელი დიპლომატი მარიო რაფაელი, რომელიც ხელმძღვანელობს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგების მინსკის კონფერენციის (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის) მოსამზადებელ კომისიას, ორ დღეს იმყოფებოდა ბაქოში, სადაც შეხვდა აზერბაიჯანის პრეზიდენტს აბულფაზ ელჩიბეის. გუშინ იგი ერევანში გაემგზავრა, სადაც სომხეთის ხელმძღვანელობას შეხვდება.

მოლაპარაკება მოსკოვში

სამშაბათს მოსკოვში დაიწყო რუსეთისა და უკრაინის სამხედრო ექსპერტების შეხვედრა. განიხილავენ საკითხებს, რომლებიც მინსკში თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე ვერ გადაწყვიტეს. უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება სტრატეგიულ ბირთვულ იარაღთან დაკავშირებულ პრობლემებს.

ბ. ელცინის ვიზიტი ინდოეთში

დღეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბორის ელცინი ინდოეთში ოფიციალურ ვიზიტად მიემგზავრება. გაიმართება შეხვედრები ინდოეთის ხელმძღვანელებთან. ხელს მოაწერენ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას და ორმხრივი ურთიერთობის შეთანხმებათა მთელ პაკეტს. ბ. ელცინის ვიზიტი ინდოეთში ემთხვევა ამ ქვეყანაში დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის ყოფნას.

ვან დერ სტელის ვიზიტი

ბალტიისპირეთის ქვეყნებს ეწვია ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობის საკითხებში ვან დერ სტელი. იგი გაეცნო რუსულენოვანი მოსახლეობის უფლებრივ მდგომარეობას. ვან დერ სტელი მოსკოვში შეხვდა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ანდრია კოზირევს. იგი შეხვდება აგრეთვე რუსეთის ვიცე-პრემიერს შახრაის, რომელიც ხელმძღვანელობს ეროვნულ უმცირესობათა საკითხების სახელმწიფო კომიტეტს.

ეკონომიკა — პრიორიტეტული მიმართულება

პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა სპეციალური განკარგულებით ორშაბათს რობერტ რუბინი და მედლინ ოლბრაიტი შეიყვანა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში. რუბინი არის პრეზიდენტის თანაშემწე ეკონომიკურ პოლიტიკაში და ეროვნული ეკონომიკური საბჭოს მეთაური, ხოლო ოლბრაიტი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივი წარმომადგენელი. როგორც თეთრი სახლის საზოგადოებრიობასა და პრესასთან კავშირურთიერთობის განყოფილების დირექტორმა ჯორჯ სტეფანოპულოსმა განაცხადა, **ეს გადაწყვეტილება გამომდინარეობს კლინტონის წინასაარჩევნო დაპირებიდან, „გააკეთოს ისე, რომ ეკონომიკური საკითხები ჩვენი ეროვნული უშიშროების პოლიტიკის ცენტრში იდგეს“. მან აგრეთვე თქვა, რომ კლინტონის განკარგულება თეთრ სახლთან, ეროვნული ეკონომიკური საბჭოს შექმნის შესახებ შეიძლება უახლოეს დღეებში გაიცეს.**

„ჩვენ მოველით, რომ ეკონომიკური გეგმა მიღებული იქნება შედარებით სწრაფად, მაგრამ ჯერჯერობით ვერ დავასახელებ ზუსტ თარიღს“,— დასძინა თეთრი სახლის წარმომადგენელმა. მისი თქმით, კლინტონი აპირებს ეკონომიკურ პრობლემებზე, მათ შორის, მზარდ დეფიციტზე მუშაობას, „ყოვლისმომცველი გეგმის ფარგლებში, რომელიც უახლოეს კვირაში უნდა მიიღონ“.

ჰაიტის პრემიერ-მინისტრის განცხადება

ჰაიტის პრემიერ-მინისტრმა მარკ ბაზელმა განაცხადა, რომ მზად არის, ქვეყნის დემოკრატიზაციის შესახებ მოლაპარაკება გამართოს სამხედრო გადატრიალების შედეგად დამხობილ პრეზიდენტთან ჟან-ბერტრან არისტიდთან. ეს განცხადება მთავრობის მეთაურმა გააკეთა მას შემდეგ, რაც შეხვდა პორტ-ო-პრენსში ვიზიტად ჩამოსულ ამერიკელ პოლიტიკოს ჯესი ჯექსონს; ჯ. ჯექსონმა, პოპულარულმა ზანგმა პასტორმა, რომელიც გავლენით სარგებლობს დემოკრატიულ პარტიასა და ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელ ადმინისტრაციაში, გამოაცხადა, რომ ვაშინგტონი ამუშავებს ჰაიტის მიმართ ახალ კურსს და რომ ბ. კლინტონის პოლიტიკა შეიძლება ჩამოყალიბდეს ფრაზით: „პრეზიდენტი არისტიდი უნდა დაბრუნდეს“.

მინისტრის მოადგილის განცხადება

თუ ხორვატიის მხარე არ შეწყვეტს საომარ მოქმედებას სერბთა წინააღმდეგ, რუსეთი დასვამს საკითხს, რომ შემოიღონ საერთაშორისო სანქციები ხორვატების მიმართაც. ეს განაცხადა გუშინ იტარ-საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ვიტალი ჩურკინმა.

მან თქვა, რომ შესაბამისი ინსტრუქციები უკვე აქვს მიღებული რუსეთის წარმომადგენელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. ვიტალი ჩურკინმა აღნიშნა, რომ ეს საკითხი, ალბათ, დაუყოვნებლივ არ დაისმება, მაგრამ საგარეო საქმეთა სამინისტრო თვალს ადევნებს სიტუაციის განვითარებას.

(დასასრული)

ამიტომ ომიდან გამოსვლა, რა თქმა უნდა, ღირსეული და არა დამარცხებული, ჩვენთვის მთავარი ამოცანაა: აფხაზეთში ჩვენი უთავბოლო მოქმედებების ამომწურავი ანალიზი, მდგომარეობის სასწრაფო გამოსწორება და ომის დასრულება საქართველოს წინაშე უამრავი გადასაჭრელი პრობლემაა, რომელთაც ომი გადაულახავ დაბრკოლებებს უქმნის.

ჩვენ არავითარი საშუალება არ გაგვაჩნია, ვიაზროვნოთ გლობალურად, გამოვიდეთ და მსოფლიოს დავანახოთ საკუთარი ინიციატივებით, და ბოლოს, არავითარი საშუალება არ გვაქვს, განვამტკიცოთ ჩვენი დამოუკიდებლობა.

მე უკვე მქონდა შესაძლებლობა, გამომეთქვა აზრი იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი ისე დაიშალა, რომ ფაქტობრივად არც ეს დაშლა იქნა გაფორმებული იურიდიულად, ყველას და არა მხოლოდ ნაწილის ხელმოწერით, არც ის სტატუსი, რომელიც შეიქმნა დაშლის ადგილზე. საქართველოს შეუძლია გამოვიდეს ინიციატივით, რომ შეიკრიბოს 15 ქვეყანა, ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, საქართველოს ჩათვლით (11+4), შეიქმნას და ხელმოწერილ იქნას დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დაშლას, აღიარებს 15 (მათ შორის 4 სრულიად დამოუკიდებელი) ქვეყნის წარმოშობას და, რაც მთავარია, აცხადებს, რომ არცერთს ამ ქვეყანათაგან, რუსეთის ჩათვლით, არა აქვს ტერიტორიული პრეტენზიები რომელიმე მეორის მიმართ. ასეთი დოკუმენტით უნდა შეუერთდეს ეს სივრცე ჰელსინკის პროცესს, ეს იქნება ამ დოკუმენტის მეორე ლეგიტიმაცია (ორმაგი ლეგიტიმაცია).

ამგვარი შემოქმედებითი მუშაობით, ამგვარი გარანტიებით და საკითხთა ასეთ დონეზე გადაჭრით — რისი საშუალებაც ჩვენ დღეს წართმეული გვაქვს— უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი სისხლხორცეული პრობლემები, მათ შორის აფხაზეთისაც — იგი ჩვენი საშინაო პრობლემაა, მაგრამ, სამწუხაროდ, საერთაშორისო შეხებათა ობიექტიცაა.

ახალი წელი დაიწყო

საერთაშორისო არენა დღეს ძალზე რთულია. მსოფლიოში აღარ არის ბიპოლარიზმი, მაგრამ ჯერ არ არის წონასწორობის ახალი მექანიზმიც. ამერიკის ფუნქცია აშკარად იცვლება, ევროპა ახალ მიჯნებზე გასვლას ლამობს, იაპონია ეკონომიკური ბერკეტებით აძლიერებს თავის ძალაუფლებას... ის, რაც თავის დროზე მსოფლიოს პოლიტიკურმა ელიტამ, რეიგანის, ტეტჩერის, შევარდნაძის, გორბაჩოვის, გენშერის და სხვათა შემადგენლობით, ჩაიფიქრა ახალი მოწყობის სახით, აბსოლუტურად დროული იდეაა, მაგრამ წარმატებით ჯერჯერობით ვერ რეალიზდება. რამდენიმე პრაქტიკული აქცია განახორციელა ბუშმა: ჯერ ეს იყო ქუვეითი, შემდეგ — სომალი, ახლა ჯერი იუგოსლავიაზეა. მაგრამ ეს აქციები არ ნიშნავს პრაქტიკული მექანიზმის ჩამოყალიბებას. ისინი, ჯერ ერთი, არც მისაღებია თავიანთი წმინდა სახით, არც ყველგან გამოდგება, მაგალითად, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში, სადაც ტანკებით ვერც შეხვალ და საქმესაც ვერ გადაწყვეტ.

ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცე საერთოდ ქმნის პრობლემათა-პრობლემას: ახალი წესრიგისკენ გადადგმული ნაბიჯები იქ ჩერდება, სადაც ეს სივრცე იწყება.

განვითარების ამჟამინდელ სტადიაზე საქართველოს მოუწევს ამ სივრცის პრობლემებზე ზრუნვა, ასეთი ეტაპი მას გასავლელი აქვს. ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს „ეს-ენ-გეში" შესვლას, ან ურთიერთობებში რუსეთისთვის პრიორიტეტების მიცემას. ეს ნიშნავს მხოლოდ იმ რეალობის აღიარებას, რომ, სადაც არ უნდა წავიდეთ, საქართველოზე ჯერჯერობით, თუნდაც გამოძახილის სახით, გავლენა ექნება იმას, რაც ამ სივრცეზე ხდება. ხოლო ამ სივრცეზე ჯერჯერობით სიკეთე არ ხდება, იგი საკუთარ, ცუდ წვენში იხარშება, მაშინ როდესაც მსოფლიოში სულ სხვა პროცესები მიმდინარეობს. მით უმეტეს, რომ ამ სივრცის ცენტრში რუსეთია, რომელსაც, ერთადერთს, შეუძლია კონფრონტაციის ინსპირირებაც და სისხლის კერების დაბადებაც, მხოლოდ მას აქვს ამისი ძალა და უნარი (და სურვილიც, თუ მისი დღევანდელი სპექტრის ზოგ ნაწილს ვიგულისხმებთ). ეს სივრცე ნორმალურად უნდა განვითარდეს — საქართველო მხოლოდ ამის შემდეგ ამოისუნთქავს. ამიტომ მოჩვენებითი თვითიზოლაცია არ იქნება ჩვენი სწორი პოლიტიკა, ჩვენ, როგორც დამოუკიდებელმა მსოფლიო სუბიექტმა, ჩვენი წვლილი უნდა შევიტანოთ ამ სივრცის გაკეთილშობილებაში, მაგრამ ამისთვის ჩვენ საკუთარი საშინაო პრობლემების მოგვარება გვესაჭიროება. ჩვენ მასშტაბური საქმეები გვჭირდება.

საქართველოს, როგორც გარკვეული ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდგომარეობის მქონე ქვეყანას და დღეს იმის წყალობითაც, რომ მის ხელისუფლებას სათავეში უდგას ედუარდ შევარდნაძე, თავის დროზე მსოფლიოს ახალი მოწყობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, თავისი სიტყვა შეუძლია თქვას დიდ საერთაშორისო პოლიტიკაში. დღეს შევარდნაძე იმ კოჰორტიდან ერთადერთი მოქმედი პოლიტიკური ფიგურაა, როგორც ერთ-ერთი ქვეყნის ოფიციალური ლიდერი. მას შეუძლია, მაგალითად, ახალი წესრიგის გეგმის ავტორთა ერთად შეყრა და გარკვეული მანიფესტის შექმნა, რომელშიც პრაქტიკული განხორციელების პრინციპები იქნება ჩამოყალიბებული. მას შეუძლია ასეთი ერთობლივი წინადადების წარდგენა სახელმწიფო მეთაურთა ახალი პლეადის წინაშე. ყველაფერი ეს აღმოსავლეთ ევროპის და ყოფილი საბჭოთა კავშირის დღევანდელ და მოსალოდნელ უბედურებათა ნეიტრალიზაციასაც მოემსახურება, რაც ჩვენს კეთილდღეობასაც გამოადგება.

საქართველოს შეუძლია სისხლსავსე საერთაშორისო ცხოვრებით ცხოვრება. ამისთვის მას ხელ-ფეხი ომიდან გამოსვლამ უნდა გაუხსნას. ომიდან გამოსვლა იმ ფართე და მასშტაბური საშინაო პროგრამის გაცოცხლებაც იქნება, რომელიც ჯერჯერობით გაუქმებულია.

არც სისხლსავსე საერთაშორისო ცხოვრება, არც ფართე საშინაო პროგრამა ჩვენ დღეს არა გვაქვს.

და ეს მხოლოდ ჩვენი დამსახურებაა.

დღეს ირკვევა, რომ საქართველოს ცნობა გაეროს თუ დიდი და პატარა ქვეყნების მიერ მეორეხარისხოვანი მოვლენა ყოფილა. მთავარია, ქვეყანამ ცნოს თავისი თავი, ჩვენ ვაღიაროთ საქართველო. ჯერჯერობით ჩვენ ეს არ გაგვიკეთებია, ჯერჯერობით თითოეული ჩვენგანი ცნობს მხოლოდ ჩვენ-ჩვენს, საკუთარ საქართველოს.

თითქოს შეიჭამა ყველაფერი იმ, სადღეისოდ ღარიბი, ლუკმიდან, რომელსაც საქართველო ჰქვია, და მაინც ვერ გავძეხით: ვერც პარტიები, ვერც მთავრობები, ვერც კლანები, ვერც მაფია, ვერც პოლიტიკოსები, ვერც კომბინატორები, ვერც ჩვეულებრივი ადამიანები. საბაბი ყოველთვის მოინახება — წითლების წინააღმდეგ ბრძოლა თუ თეთრების, ამიტომ ერთადერთი ფინიში ასე წარმოიდგინება: პროცესი შეწყდება მხოლოდ მაშინ, როდესაც დასანაწილებელი და გასაყიდი აღარაფერი დარჩება.

მაგრამ ეს კატასტროფა იქნება. ამიტომ დღეს ზარების შემოკვრაა საჭირო. დღეს ისეთი უკიდურესი, კულმინაციური მომენტია, როდესაც ეკლესიაც კი იძულებულია უკიდურესად გააქტიურდეს ხოლმე. დღეს ეკლესიის ყველა წარმომადგენელი უნდა შეიმოსოს მისიონერის სამოსით, აიღოს ხელში მისიონერის ჯოხი და ყველაფრის თავიდან დასაწყებად უნდა შემოიაროს: ყველაზე ცხელი წერტილები, ყველაზე მიუვალი ადგილები, ყველაზე გიჟი მმართველები, ყველაზე ბოროტი გადამყიდველები, და ბოლოს — ყოველი ჩვენგანი, ყველაზე უჭკუო თვითმკვლელები.

1993 წელი ჩვენთვის მშვიდობის წელი უნდა იყოს.

ძალიან სამწუხაროა, რომ პარლამენტმა უარყო „მშვიდობის წლის" გამოცხადების იდეა (სხვათაშორის, პირველად იგი გასული წლის დამლევს ამ სტრიქონების ავტორმა გამოთქვა ჯერ სატელევიზიო გამოსვლაში, შემდეგ — რადიოთი), უარყო იმ არგუმენტით, რომ საქართველო ომის მდგომარეობაშია. იქ, სადაც ომი არ არის, არ არის არც მშვიდობის ცნება. იმ ქვეყანაში, სადაც მშვიდობაა წელსაც, მშვიდობა იყო გასულ წელსაც და მშვიდობაა მოსალოდნელი მომავალშიც, მშვიდობის წლის გამოცხადება საჭირო არაა. მშვიდობის წელი სჭირდება იმ ქვეყანას, სადაც ომია. მისი გამოცხადება ნიშნავს ამ ქვეყნის განზრახვას, ბოლო მოეღოს ომს.

ჩვენ მშვიდობის წლები გვჭირდება. ჩვენ ერთმანეთს შორის მშვიდობის წლებიც გვჭირდება და არა ინტრიგებისა და ურთიერთღრენის წლები.

სახელმწიფოთა განვითარებისთვის სხვადასხვა თეორიული ვარიანტი არსებობს. თეორიულად არ არის გამორიცხული ისეთი საშინელი და ველური ვარიანტიც, როგორიცაა უხელისუფლებობა. უხელისუფლებობა ეს არის გარკვეული ტერიტორიები, კვადრატული კილომეტრები, რომლებიც გარკვეულ კლანებს თუ ანკლავებს აქვთ ხელში. ეს არის ამგვარი ქვეყნების და მათი ადამიანების ფასი. ისეთ ქვეყანას, როგორიცაა, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები, ეს არ ემუქრება, იქ ეს ფანტასტიკის სფეროა. მაგრამ ისეთი ქვეყნისათვის, როგორიცაა, მაგალითად, სომალი, ეს განხორციელებული ვარიანტია. დღევანდელი საქართველოსთვის, ჩვენისთანების საქართველოსთვის, ეს, სამწუხაროდ, თეორიულად არგამორიცხული შესაძლებლობაა.

ჩვენ უნდა გარდავიქმნათ.

თუ ჩვენ გვესმის და გვწამს, რომ ქრისტიანული რელიგია კოსმიურ ტრანსფორმაციას ქადაგებს და არა უბრალო კონკრეტულ ადამიანთა უკვდავებას, მაშინ ჩვენ უნდა გვესმოდეს ისიც, რომ იმ ახალ ცხოვრებაში მონაწილენი და ახალხორცშესხმულები ყველანი ვიქნებით, ოღონდ კონკრეტულად ჩვენისთანები ღვთის სასუფეველში არ იქნებიან.

თვალის ახელა და გონს მოსვლა ჩვენი გადაუდებელი საქმეა.

მთავარია, ეს გვიანი არ იყოს. ჯერჯერობით ეს გვიანი არ არის.

ეს ჩვენი საქართველოა

ზამთარი.
ბათუმი.
ზღვის ნაპირი...

ამირან ქალიძის ფოტო.

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ამ დღეებში

მოვლენა · ფაქტი · კომენტარი

საბავშვო სახლის ძვირფასი სტუმარი

ახლახან დედაქალაქის დიღმის მასივის მესამე კვარტალში მდებარე საბავშვო სახლს ესტუმრა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე. მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ახალი, 1993 წელი მიულოცა, მშვიდობა უსურვა და დალოცა საბავშვო სახლში მყოფი ასამდე აღსაზრდელი, ოცამდე ლტოლვილი აფხაზეთიდან. ძვირფას სტუმარს სამადლობელი სიტყვით მიმართეს რესპუბლიკის განათლების მინისტრმა თამაზ კვაჭანტირაძემ, საბავშვო სახლის დირექტორმა ნონა მაღრაძემ. მათ მადლობა გადაუხადეს კათოლიკოს-პატრიარქს თანადგომისთვის, მოტანილი საჩუქრებისთვის და აღუთქვეს კვლავაც ერთად იზრუნებენ ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სწავლა-აღზრდისათვის.

მამია ჯოლია.

შრომის ბირჟის ახალი თაოსნობა

თბილისის შრომის ბირჟას 1992 წელს დახმარებისთვის მიმართა 9.807 მოქალაქემ, მათ შორის 9.207-მა უმუშევარმა. შრომის ბირჟამ დაასაქმა 812 მოქალაქე, 6.672-ს კი მიენიჭა უმუშევრის სტატუსი. შემწეობის სახით გაცემულმა თანხამ სამ მილიონს გადააჭარბა.

ამასთან უმუშევრის სტატუსის მქონე პირთათვის, საქართველოს შრომისა და წარმოების ორგანიზაციის სამეცნიერო-სასწავლო ინსტიტუტის ბაზაზე 1992 წლის 1 ნოემბრიდან გაიხსნა კვალიფიკაციის ასამაღლებელი სამთვიანი უფასო კურსები — თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის და მეწარმეობის საფუძვლების სპეციალობით. მსმენელთა განკარგულებაშია კომპიუტერული კლასი, სასწავლო პროცესს წარმართავენ ცნობილი ეკონომისტები და პოლიტოლოგები. პირველი ნაკადი — 60 მსმენელი, იანვრის ბოლოს დაამთავრებს სწავლას. მათ მიეცემათ სათანადო სერთიფიკატები.

უმუშევართა ნაკადის მკვეთრმა ზრდამ წარმოშვა გარკვეული სიძნელეები. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით თბილისის ისნის რაიონის გამგეობის შენობაში გაიხსნა შრომის ბირჟის ფილიალი, რომელიც ისნისა და სამგორის რაიონების მოსახლეობას ემსახურება.

ნავარაუდევია, რომ შრომის ბირჟის ანალოგიური ფილიალი მალე გაიხსნება ნაძალადევის რაიონშიც. იგი მოემსახურება როგორც ნაძალადევის, ისე გლდანის რაიონის მოსახლეობას.

„იბერია".

კრიმინალური ქრონიკა

ვინ აღვრევს წყალს?

საქართველოში არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარებით ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებ. მაგრამ, დანაშაულმა, რომელიც 21 იანვარს ქუთაისში მოხდა, შეაძრწუნა მთელი ქალაქი. დაახლოებით 16 საათზე მაიაკოვსკისა და შაუმიანის ქუჩების გადაკვეთასთან დაუდგენელმა პირებმა გაიტაცეს ებრაული სათვისტომოს სალოცავის რაბინის — მოშე ხახიაშვილის მცირეწლოვანი ვაჟი. ამ შემზარავ ფაქტს განსაკუთრებით ამძიმებს ის გარემოება, რომ თავისი კეთილშობილებითა და სისპეტაკით მთელს ქალაქში ცნობილი მოშე ხახიაშვილი ოჯახთან ერთად სულ რამდენიმე დღეში თავის ისტორიულ სამშობლოში — ისრაელში უნდა გამგზავრებულიყო.

დღეს ქუთაისის ებრაელობის სათვისტომოში მოვიდნენ ქალაქის ხელმძღვანელები, რომელთაც, გამოხატეს რა ქუთაისელთა გულისწყრომა მომხდარი ფაქტის გამო, გამოთქვეს მზადყოფნა ყველაფერი იღონონ გატაცებული ბავშვის ოჯახში დასაბრუნებლად.

ჩვენი მთა-ბარის ამბები

ცისფერი ალი ჭოპორტში

ჭოპორტელთა ოჯახებში სულ მალე აინთება ცისფერი გაზის ქურები. დუშეთის რაიონის ამ სოფელში გაზის გაყვანა 1985 წელს დაიწყო და მის დამთავრებას არ დაადგა საშველი. მიტოვებული მშენებლობის წყალობით მწყობრიდან გამოდიოდა და ნადგურდებოდა ძვირადღირებული საშენი მასალა. უგერგილობისა და უნიათობის გამო იკარგებოდა სიმწრით ნაშოვნი რამდენიმე მილიონი მანეთი, რომელიც მშენებლობისათვის თავის დროზე სოფელმა გაიღო. არადა, ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზის ორმა მაგისტრალურმა ხაზმა სოფლის სანახებზე გაიარა და უზარმაზარი ეკოლოგიური და ეკონომიკური ზარალი მიაყენა მას.

„საქგაზის" დეპარტამენტის თავმჯდომარის კარლო ნიკოლაიშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გაზის მაგისტრალური ხაზის მშენებლობებთან დაკავშირებით შექმნილ სამთავრობო კომისიაში მუშაობის დროს, გაეცნო რა სოფლისა და შესრულებული სამუშაოების მდგომარეობას, ყველა საშუალება გამონახა, რათა მშენებლობა დროულად დამთავრებულიყო. სოფლის გამგებლის ვლადიმერ ზეიკიძის და დუშეთის რაიონის ხელმძღვანელთა ძალისხმევით საშვილიშვილო საქმე წარმატებით დაგვირგვინდა.

ჭოპორტელების ოჯახში ცისფერი ალი აციმციმდა.

ანზორ სულიაური.

ქართული კერამიკა კანადაში

კანადა სათვალავით ორმოცდამეათე ქვეყანა გახდა, სადაც საქართველომ დაიწყო თავისი კერამიკული ნაწარმის გაგზავნა. კერამიკა საქართველოს უძველესი ტრადიციული ხელოვნებაა, რომელიც მეორედ დაიბადა. თბილისში მოქმედებს დიდი კერამიკული კომბინატი, სამხატვრო აკადემიაში კი კერამიკის კათედრა და სახელოსნო, ქალაქებსა და სოფლებში 200-ზე მეტი ფირმაა, რომლებიც კერამიკის ნაწარმს უშვებენ. ამ ნაწარმზე ფართო მოთხოვნილებაა არა მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში, საფრანგეთში, ინგლისში, იტალიაში, გერმანიაში, ჰოლანდიაში, იაპონიაში და სხვ.

ახალი ლიტერატურული პრემიები

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნოს გადაწყვეტილებით დაწესდა დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას სახელობის ყოველწლიური ლიტერატურული პრემია პოეზიის, პროზის, საბავშვო ლიტერატურისა და მხატვრული თარგმანის დარგში (თითოეული 100 ათასი მანეთის ოდენობით).

დამოუკიდებელი კავშირის სამდივნომ ასევე დააწესა გამოჩენილი ქართველი ლირიკოსის ტერენტი გრანელის სახელობის ლიტერატურული პრემია (50 ათასი მანეთის ოდენობით) საუკეთესო პოეტური ნაწარმოებებისათვის.

ლაურეატებს გადაეცემათ სამკერდე ნიშნები. შექმნილია პრემიების მიმნიჭებელი კომისია.

ფირმა «გეო»
გთავაზობთ:
კერძო პირებს, კოოპერატივებს,
ფირმებს და სხვა
ორგანიზაციებს.
თუ გსურთ იყიდოთ ან
გაყიდოთ მსუბუქი ან სატვირთო
ავტომანქანები, მოგვმართეთ
ჩვენ. საინფორმაციო ბანკის
საშუალებით შეგირჩევთ
თქვენთვის სასურველ
ვარიანტებს.
ჩვენი მისამართია:
თბილისი, თამარაშვილის 15-ა,
მიწათმოწყობის ინსტიტუტის
შენობა, მე-4 სართული, ოთ. 8.
ტელ. 39-34-25

„დინამო" გამარჯვებით იწყებს

ოთხწლიანი შესვენების შემდეგ თბილისის „დინამო" კვლავ წარსდგა მოსკოველ ფეხბურთის მოყვარულთა წინაშე.

ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველი ტურის მატჩი ქართველმა ფეხბურთელებმა ჩვეული ოსტატობით წარმართეს უზბეკეთის უძლიერესი გუნდის — ტაშკენტის „ფახთაქორის" წინააღმდეგ და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს — 5:2. შუააზიელთა კარში გოლები გაიტანეს შოთა არველაძემ (2), გიორგი ქინქლაძემ, მიხეილ ყაველაშვილმა და ბადრი კვარაცხელიამ.

ამავე „ბ" ჯგუფში მოასპარეზე დანარჩენი კლუბების — აშხაბადის „კოპეტდაგისა" და კიშინიოვის „ზიმბრულის" შეხვედრა მოიგეს თურქმენებმა — 6:1.

გთავაზობთ სხვა თამაშების შედეგებს. „ა" ჯგუფი. რიგის „სკონტო" — ბაქოს „ნეფთჩი" — 1:0. ისვენებდა მოსკოვის „სპარტაკი".

„გ" ჯგუფი. ალმა-ათის „ქაირათი" — ბიშკეკის „ალგა" — 3:2, პანევეჟისის „ეკრანასი" — რუსეთის ჭაბუკთა ნაკრები — 2:1 (ეს უკანასკნელი ტურნირზე უკრაინის ჩემპიონის — სიმფეროპოლის „ტავრიას" ნაცვლად დაუშვეს).

„დ" ჯგუფი. მინსკის „ბელარუსი" — ერევნის „ხომენტმენი" — 2:0, ტალინის „ნორმა" — ტურსუნ-ზადეს „რეგარი" — 5:0.

გუშინ კი „დინამომ" მოუგო „ზიმბრულის" — 8:1.

ქართველი მსაჯის აღიარება

სასიხარულო ცნობა მივიღეთ რომიდან, სადაც ამ დღეებში გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის — ფილას მორიგი კონგრესი.

ამ უმნიშვნელოვანეს ფორუმზე საერთაშორისო კატეგორიის ექსტრაკლასის მსაჯის საპატიო წოდება როგორც თავისუფალ, ისე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მიენიჭა თბილისელ ჯუმბერ დავლიანიძეს. ეს ტიტული ქართველ არბიტრს უფლებას აძლევს ავტომატურად იქნეს მიწვეული უმაღლესი რანგის ტურნირებზე სამსაჯოდ.

საჭადრაკო მოზაიკა

თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატის მეხუთე ტურში ყურადღების ცენტრში იყო გრიგალაშვილისა და ხორავას პარტია, რომელიც პირველმა მოიგო. იმავე დღეს ლომინეიშვილმა მორიგი მომგებიანი ქულა ჩაიწერა აქტივში ნიკოლაძესთან.

ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ლომინეიშვილი და გრიგალაშვილი — 4,5-4,5 ქულა, თვაური — 4 ქულა, ხორავა, ხმიადაშვილი, ჩაიკოვსკაია — 3,5-3,5 ქულა.

• • •

როგორც ჩანს, ინგლისელმა დიდოსტატმა ნაიჯელ შორტმა საბოლოოდ გატეხა ჰოლანდიელი იან ტიმანის წინააღმდეგობა ესპანეთში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტ ვაჟთა ფინალურ მატჩში. მან ზედიზედ მეორე პარტია დაასრულა თავის სასარგებლოდ და 2 ქულამდე გაზარდა უპირატესობა — 6:4.

ცხონება

გოდერძი გვრიტიშვილი

კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველი შეეწირა საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას. 14 იანვარს შვეულმფრენით თანამებრძოლების დასახმარებლად გასული „გოდერძი უფროსი" თვითონ გახდა მტრის ტყვიის მსხვერპლი.

გოდერძი გვრიტიშვილი დაიბადა 1964 წელს დაბა მანგლისში. დაამთავრა თბილისის საარტილერიო სასწავლებელი და განაწილებით ოფიცრად მსახურობდა უკრაინაში. „კავშირის" რღვევის შემდეგ უარი თქვა სამხედრო სამსახურზე და სამშობლოში დაბრუნდა. შექმნა ოჯახი.

აფხაზეთში გაჩაღებულმა ომმა, სამშობლოს სიყვარულმა იგი „თეთრი არწივის" მებრძოლთა რიგებში ჩააყენა. იყო სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველი ბრიგადის შტაბის უფროსის მოადგილე და ოპერატიული განყოფილების უფროსი, უფროსი კაპიტანი.

მისი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა ოპერაციები სოფლების ტამიშის, ათარა აფხაზურის, ათარა სომხურის, ქვემო და ზემო კინდღის გასათავისუფლებლად.

კეთილშობილი და უანგარო მეგობრის, ბრწყინვალე მებრძოლის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება თანამებრძოლებისა და მეგობრების გულში.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სწრაფი რეაგირების კორპუსის პირველი ბრიგადის მებრძოლები, მეგობრები.

დილა გიწვევთ!

29 იანვარს, დღის 3 საათზე, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება „კონკურსი-კონცერტი-92", რომელიც საბავშვო ჟურნალ „დილას" თაოსნობით ეწყობა.

შარშან, აპრილის თვეში ჟურნალმა „დილამ" გამოაცხადა შემოქმედ ბავშვთა კონკურსი (პოეზია, პროზა, მხატვრობა, მუსიკა) და 29 იანვარს ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში სწორედ ამ კონკურსის დასკვნითი ტური გაიმართება.

გამარჯვებული ბავშვებისათვის პრიზები დააწესეს: საქართველოს მთავრობამ, საპატრიარქომ, სამინისტროებმა, მრავალმა სახელმწიფო ორგანიზაციამ და კერძო ფირმებმა.

ჟურნალ „დილას" რედაქცია მიმართავს თხოვნით ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას, დააწესოს საკუთარი სახელობითი პრიზი თვითონ შეარჩიოს დასკვნით ტურში მონაწილე ნებისმიერი ბავშვი და გადასცეს იგი.

„კონკურსი-კონცერტი-92" ტრანსლირებული იქნება საქართველოს ტელევიზიით, რომლის მსვლელობაშიც აქტიურად მონაწილე ფირმებს, საწარმოებსა და სხვა დაწესებულებებს გაუკეთდებათ საუკეთესო რეკლამა.

იჩქარეთ მონაწილეობა მიიღოთ ამ საქველმოქმედო ღონისძიებაში, რომლითაც თქვენ ქმედით დახმარებას აღმოუჩენთ როგორც საყმაწვილო ჟურნალ „დილას" და „აიას", ასევე სახელს შემატებთ თქვენს ორგანიზაციას.

ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც ფილარმონიის სალაროებში, ასევე გადარიცხვით და ნაღდ ანგარიშზე ჟურნალ „დილას" რედაქციაში.

ჟურნალ „დილას" ანგარიში: 000164001 კოდი 52175. კრწანისის ბინ. სოც. ბანკი. შემ. ბანკი 3528. ანგარიში № 1448. ჟურნალ „დილას" რედაქცია.

მისამართი: თბილისი 96, მ. კოსტავას ქ. № 14 ტელ. 93-41-30; 93-10-32.

მოგზაურობის მოყვარულთა საყურადღებოდ!
ფირმა „დიოსკურია" გთავაზობთ მოგზაურობას:
— პარიზში (საფრანგეთი) — ოთხი დღით.
ფასი — 250 ამერიკული დოლარი და 88 ათასი მანეთი.
მოგზაურობის საფასურში შედის 3-ვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება და კვება.
მოგზაურობა ბევრ სასიამოვნო წუთს განგაცდევინებთ!
იჩქარეთ! ადგილების რაოდენობა შეზღუდულია. დროულად გააფორმეთ საბუთები.
მისამართი: თბილისი, დოლიძის ქ. კორპ. 7. ფირმა „დიოსკურია" (11-დან 16 საათამდე).
ან დარეკეთ: 36-00-14; 36-78-18 (11-დან 16 საათამდე), 74-47-16 (16-დან 20 საათამდე).

ვალერიან გოგოლაშვილი

ნარკოტიკების ბუმი წითელ ხიდთან

წითელი ხიდი საქართველოს აღმოსავლეთი ჭიშკარია. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ ეს ჭიშკარი ოკუპანტებისათვის მჭიდროდ არის ჩაკეტილი, კეთილი გულითა და საქმით მოსულისათვის კი — ყურთამდე გაღებული.

მიუხედავად იმისა, რომ აქ დგანან სასაზღვრო ჯარის, საბაჟოს, კარანტინისა და საგზაო პოლიციის პუნქტები, სახელმწიფო საზღვარი თავისი კლასიკური გაგებით არ ფუნქციონირებს.

ზემოთ ჩამოთვლილი სამსახურების საქმიანობის გაუმიჯნაობის, მათი მუშაობის კოორდინაციის, საზღვრისა და საბაჟოსათვის აუცილებელი ტექნიკური მოწყობილობის უქონლობის გამო პრაქტიკულად ვერ აკონტროლებენ, თუ ვის რა შემოაქვს და რა გააქვს საქართველოდან, ვინ შემოდის და ვინ გადის. წითელ ხიდთან მდგარმა მესაზღვრემ და მებაჟემ დიდი სიფხიზლეც რომ გამოიჩინონ, საქმეს მაინც ვერ ეშველება. მარნეულისა და გარდაბნის რაიონების მინდვრები დაქსელილია აზერბაიჯანში გასასვლელი გზებით, რომლებსაც არავინ აკონტროლებს.

ამით კარგად სარგებლობს სხვადასხვა ჯურის ხალხი. მათ შორის ნარკომანები და ნარკოტიკული ნივთიერებების შემომტანები, რომლებიც წითელ ხიდთან ბუზებივით ირევიან.

ხიდის მეორე მხარეს, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ბაზარია გამართული. იქ ბენზინთან და ხილეულთან ერთად დღისით, მზისით ჰყიდიან ნარკოტიკულ ნივთიერებებს.

მყიდველს ნარკოტიკულ ნივთიერებებს სთავაზობენ ხიდის მიდამოებში მოწყობილ ტუალეტში, რესტორანსა და სასადილოში. ბევრი მათგანი აზერბაიჯანის მხარეს ვითომდა „კანისტრა" ბენზინის საყიდლად გადადის, სინამდვილეში კი ნარკოტიკებს ყიდულობს. ზოგისთვის ეს „ვოიაჟი" საბედისწეროდ მთავრდება.

როგორც კი შეიძენენ ნარკოტიკს, მათ აკავებენ ან რეკეტიორები, ან ხელმრუდი პოლიციელები. რაკი ხელში ნარკოტიკი უჭირავთ, დანაშაულის დამტკიცებაც ძნელი არ არის. შეიძლება აზერბაიჯანში ნარკოტიკული ნივთიერების შეტანაში დასდონ ბრალი, უკეთეს შემთხვევაში კი (ეს სინამდვილეში ასეც არის), ნარკოტიკების მომხმარებელი ხელს უწყობს მეზობელ ქვეყანაში საწამლავით ვაჭრობას. ესეც დანაშაულია და კანონით ისჯება. ამ პასუხისმგებლობიდან „გათავისუფლებას", როგორც წესი, დიდძალი ფულის გამოძალვა მოსდევს.

ერთი ასეთი ტრაგიკომედია ჩვენს თვალწინ გათამაშდა. ოთხი თბილისელი ახალგაზრდა ნარკომანი ავტომანქანით ჩამოვიდა თბილისიდან. ფეხით გადავიდნენ აზერბაიჯანის მხარეს, ვითომ ბენზინის საყიდლად. სინამდვილეში კი იყიდეს ნარკოტიკი. მაგრამ იქვე, წამსვე დააკავეს. მცირეოდენი მოლაპარაკების შემდეგ სამი გამოუშვეს 50 ათასი მანეთი ფულის მისატანად, ერთი კი მძევლად დაიტოვეს.

ეს ახალგაზრდები, ჩვენდა გასაოცრად, მომხდარის გამო შეწუხებულნი კი არა, გახარებულნი იყვნენ. 50 ათასი მანეთი გამოსასყიდი თურმე უმნიშვნელო თანხა ყოფილა. სხვებს ოთხჯერ-ხუთჯერ მეტს ახდევინებენო.

ბიჭებს ის 50 ათასი მანეთიც აღარა ჰქონდათ. მთელი ჩამოტანილი ფული ნარკოტიკებში მიეცათ. ადგნენ და, თავიანთი ავტომანქანა ხიდის იქით გადაიყვანეს, მძევლად აყვანილი ამხანაგის (ერთ-ერთის ძმა იყო) ნაცვლად „გირაოდ" დატოვეს და საჩქაროდ გაეშურნენ თბილისს, ფულის ჩამოსატანად.

როგორც გვითხრეს, ამას წინათ აღმაშფოთებელი, თავისმომჭრელი საქმეც კი ჩაუდენია ერთ ჩვენს ნარკომან არაკაცს. ხიდს იქით მძევლად ახალგაზრდა მეუღლე დაუტოვებია. მეორე დღეს, როცა „გამოსყიდული" ცოლით უკან ბრუნდებოდა, ხიდს აქეთ მყოფმა ბიჭებმა ლამის ცემით სული ამოხადეს ჩვენს ვაითანამემამულეს, მაგრამ ამით საქმეს რაღა ეშველებოდა.

ჩვენს გასაჭირზე

ზოგი ნარკომანი წითელი ხიდის მიდამოებშივე იკეთებს შეძენილ ნარკოტიკს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლადშექმნილი ნარკომანიასთან მებრძოლი სამმართველოს ოპერატიულმა ჯგუფმა განყოფილების უფროსის თამაზ აბუთიძის ხელმძღვანელობით წითელი ხიდიდან ხუთასიოდე მეტრზე, ტყეში ჩადგმულ კოტეჯში მიაკვლია ნარკომანთა ბუნაგს. კოტეჯი და მისი მიმდებარე ტერიტორია სავსე იყო შპრიცებით, ნარკოტიკული ნივთიერებების ნარჩენებით. იქვე დააკავეს რამდენიმე ნარკომანი.

კოტეჯი რესპუბლიკურ გაერთიანება „საქტყეკაკალნაყოფის" წითელი ხიდის სატყეო უბანს ეკუთვნის. ჩვენს კითხვაზე, თუ რატომ ხდება ეს უმსგავსობა ამ კოტეჯში, სატყეო უბნის უფროსმა ვანო ბერიძემ გვიპასუხა:

რა ვქნათ, იარაღის მუქარით იჭრებიან კოტეჯში, ჩვენ მათ ვერ ვუმკლავდებით. პოლიცია დაგვეხმაროს.

თუმცა ისიც გაირკვა, რომ სატყეო უბნის ხელმძღვანელობას ამის თაობაზე არასოდეს მიუმართავს სამართალდამცავი ორგანოებისათვის — გვეშინოდაო.

საქართველოს აღმოსავლეთის ჭიშკართან შექმნილი ვითარების თაობაზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ სასაზღვრო ჯარის, საბაჟოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს ვალერი ქოჩიაშვილს, მამუკა არაბიძეს და თამაზ აბუთიძეს. მათი ნათქვამის ცალ-ცალკე გადმოცემას აზრი არა აქვს, რადგან სამივე უწყების წარმომადგენელს ერთნაირი შეხედულება აქვს ამ პრობლემის გადაჭრის გზებზე. კერძოდ: აუცილებლად უნდა ჩამოყალიბდეს საზღვრის დაცვის სისტემა მთელს სიგრძეზე, გაიმიჯნოს და მკაფიოდ განისაზღვროს სასაზღვრო ჯარის, საბაჟოს და პოლიციის ფუნქციები საზღვრის ზონაში; საზღვარი, კერძოდ კი საბაჟო, აღჭურვილ იქნეს სათანადო ტექნიკითა და მოწყობილობით, რაც უზრუნველყოფდა კონტრაბანდის, კერძოდ, ნარკოტიკული ნივთიერებების აღმოჩენას.

სამივე უწყების წარმომადგენლებმა თვითონაც იციან, ყოველივე ამის მოგვარებას დიდი დრო და სახსრები სჭირდება. მაგრამ პირველ ხანებში ის მაინც უნდა გაკეთდეს, რომ როგორმე შევაკავოთ თბილისიდან წითელი ხიდისაკენ მიმავალი ნარკომანთა უწყვეტი ნაკადი. ალბათ, მიზანშეწონილი იქნება, ისინი სასაზღვრო ზონამდე მისვლამდე გაისინჯონ და აეკრძალოთ გზის გაგრძელება. გარდა ამისა, ვფიქრობთ, აუცილებელია წითელ ხიდთან და ნარკომანიის თვალსაზრისით სხვა „ცხელ წერტილებთან" მუდმივად მორიგეობდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ნარკომანიასთან მებრძოლი სამმართველოს მუშაკები.

ამ მწვავე პრობლემაზე გავესაუბრეთ აზერბაიჯანის საბაჟოს უფროსს ქემრალ მუსაევს და საბაჟო პოლიციის თანამშრომელს ოლგამ რზაევს. მათ არ დაუმალავთ, რომ საბაჟოს სიახლოვეს ხდება ნარკოტიკული ნივთიერებებით ვაჭრობა. მაგრამ ისიც თქვეს, რომ ძალები არ ყოფნით გაუმკლავდნენ ნარკოტიკების გამსაღებლებს, რომლებსაც ბუზივით ეხვევა საქართველოდან გადმოსული აუარება მუშტარი.

ჩვენს სატკივარს, ჩანს, ჩვენვე უნდა ვუშველოთ. მაგრამ ალბათ აუცილებელია საქართველოსა და აზერბაიჯანის საბაჟო და სამართალდამცავი ორგანოების კონტაქტების გაღრმავებაც, რადგან ნარკომანია და ნარკობიზნესი ლახავს ორივე მეზობელი ქვეყნის ინტერესებს. იმედი უნდა ვიქონიოთ რომ ეს პრობლემაც მალე გადაწყდება,. უახლოეს ხანში გათვალისწინებულია საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროების ხელმძღვანელთა შეხვედრა და თანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
მისამართი, 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.
ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.
გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშარაულის 29.
გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.